2014 წელი, 30 იანვარი – 5 თებერვალი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

ახალი განათლება

№2 (636) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ახალი ამბების სააგენტო „ექსპრესნიუსი“ * www.epn.ge

რეფორმირებული მანდატურის ინსტიტუტი და მანდატურების პროტესტი

გვერდი 3

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მანდატურის სამსახურის რეფორმირებას იწყებს – ამის შესახებ სამინისტრომ ოფიციალურად იანვრის დასაწყისში გაავრცელა ინოფორმაცია. მანამ კი საზოგადოება ინფორმირებული იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის ბავშვთა დაცვის, მედიაციისა და ფსიქოლოგიურ სამსახურად გარდაქმნის შესახებ, სახელი შეეცვალა სკოლის მანდატურებსაც და მათ ბავშვთა დაცვის ოფიცრები დაერქვათ. გარკვეული ცვლილებები მოჰყვა მანდატურის – ბავშვთა დაცვის ოფიცრის ასაკობრივი ზღვრის დადგენასაც – თუ მანდატურად პირის დანიშვნა 20 წლის ასაკიდან იყო შესაძლებელი, ბავშვთა დაცვის ოფიცრები 23 წლის ასაკიდან დაინიშნებიან.

ამ ყველაფერს „ზოგადი განათლების შესახებ“ და „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონებში დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პარლამენტს უკვე წარუდგინა.

დაგეგმილი რეორგანიზაციისა და პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, მანდატურებისგან განსხვავებით, ბავშვთა დაცვის ოფიცრების ფუნქციები და უფლებამოსილება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების კონტროლით, სკოლებში წესრიგის უზრუნველყოფით და სამართალდარღვევათა აღკვეთით არ შემოიფარგლება. მას ისეთი ფუნქციის შესრულება ემატება, როგორიცაა ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევა (ფსიქოკორექცია, ფსიქოთერაპია, პრევენცია და რესოციალიზაცია). მის ფუნქციაში შევა მოსწავლისათვის პროფესიული არჩევანის გაკეთებასა და კარიერის დაგეგმვაში ხელშეწყობა, ასევე სამეცნიერო-კვლევითი (ფსიქოლოგიური ან სოციალური) საქმიანობის განხორციელება, ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება და საექსპერტო დასკვნის გაცემა.

თავის მხრივ, იზრდება ბავშვთა დაცვის ოფიცრების უფლება-მოვალეობები და მათ ფუნქციებში დამატებით განისაზღვრება ფსიქოსოციალური პრობლემის მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობა, მათთან ინდივიდუალური გასაუბრება, მათ ქცევაზე დაკვირვება და, ამ დაკვირვების საფუძველზე, შუამდგომლობის გაწევა ასეთი მოსწავლის ბავშვთა დაცვის, მედიაციისა და ფსიქოლოგიური სამსახურის ფსიქოლოგებთან გადამისამართების თაობაზე. ასევე მათ ფუნქციას ემატება ფსიქოსოციალური პრობლემების მქონე პირების მშობლებთან შეხვედრაში მონაწილეობა.

პარლამენტის მიერ ინიცირებული კანონპროექტის მიხედვით, ფსიქოსოციალური პრობლემის მქონე სუბიექტის ვინაობის, მისი ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სამსახურეობრივი საქმიანობის შესრულების მიზნით. ამგვარი ინფორმაციის არასამსახურეობრივი მიზნით გამოყენება კანონმდებლობით დადგენილი წესით დაისჯება.

კანონპროექტის გათვალისწინებით, ბავშვთა დაცვის, მედიაციისა და ფსიქოლოგიურმა სამსახურმა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ბავშვთა დაცვის ოფიცრის დანიშვნა 2017 წლის 1 იანვრამდე უნდა უზრუნველყოს.

ამ ინფორმაციას ჩვენი გაზეთის მკითხველს კიდევ ერთხელ იმიტომ ვახსენებთ, რომ ამ დღეებში მანდატურების საპროტესტო აქციებმა, რომელიც „მანდატურის სამსახურის გაუქმების“ მცდარი ინფორმაციის გამო გაიმართა, ალბათ, საზოგადოება გაურკვევლობაში ჩააყენა, რადგანაც სამინისტროს მიერ გამოცხადებული რეფორმა, ბუნებრივია, ვერ განხორციელდება, თუკი მანდატურის სამსახური უქმდება. მანდატურებმა პროტესტი გამოაცხადეს – 29 იანვარს სკოლები სწავლას მანდატურების გარეშე აგრძელებდნენ. ამ განცხადებას სამინისტროს მხრიდან მყისიერად მოჰყვა რეაგირება – განმარტება, რომელიც იმავე საღამოს ელექტრონულად გავრცელდა:

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2014

სიახლე

ზოგადი უნარების ტესტში

გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი სოფო დოლიძე

გვერდი 2

ერთიანი ეროვნული გამოცდები – 2014

შეფასების სიზუსტის ზრდით შემცირებული შემთხვევითობა

შეფასებისა და გამოცდების ცენტრი, 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, აბიტურიენტებს სიახლეებს სთავაზობს.

შემუშავდა მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის ახალი მიდგომის პროექტი, რომლის მიხედვითაც იმ აბიტურიენტთა გამოვლენა, რომელთაც ზღვარი გადალახეს, სხვადასხვა ვარიანტში მიღებული ქულების გაიგივების შედეგად მოხდება. ამ ცვლილებით ზღვრის გადალახვის შანსს ინარჩუნებენ ის აბიტურიენტები, რომლებმაც შედარებით რთული ვარიანტი წერეს, ვერ გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მაგრამ ზღვართან მიახლოებული ქულა მიიღეს. ცვლილება შეეხება არჩევითპასუხიან დავალებებს. ამ და სხვა სიახლეებზე გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი **სოფო დოლიძე**.

ზოგად უნარებში ორი ძირითადი სიახლე გვაქვს. პირველი განპირობებულია იმით, რომ ყველა საგამოცდო საგანში და მათ შორის ზოგად უნარებშიც მინიმალური კომპეტენციის ბარიერი აღარ განისაზღვრება ნედლი ქულით, განისაზღვრება გაიგივებული ქულით. უნარებში 21 ქულა, ანუ 25% განსაზღვრული იყო იმიტომ, რომ მხოლოდ არჩევითპასუხიანი დავალებები იყო. მიუხედავად იმისა, ტესტის რომელ ვარიანტს შეასრულებდა აბიტურიენტი, მას ერთნაირი ალბათობა ჰქონდა, თითოეულ დავალებაში, შემთხვევით სწორი პასუხის დამოწმების. მინიმალური კომპეტენციის ზღვარიც – 25% – ამ ალბათობაზე იყო მორგებული. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის აბიტურიენტებიც კი, რომლებიც განსაკუთრებული უნარებით არ გამოირჩევიან, მთლად ბრმად არ მუშაობდნენ. იკვეთება, რომ ის რთული ვარიანტები, რომლებიც ზოგადად მაღალქულიანებისთვისაც რთულია, ბუნებრივია, ქვემოთა სეგმენტშიც რთულია და აბიტურიენტების ყველაზე მეტ პროცენტს ჭრის. ზღვრის ქვემოთ, როგორც ჩანს, იყო ერთგვარი დისბალანსი ამიტომ, ეს უთანაბრობა რომ არ იყოს ვარიანტებს შორის (ზღვრის ზემოთ, როგორც ვიცით, ეს სკალირების პროცესით სწორდება და ამიტომ იქ ყველაფერი კორექტულად და სამართლიანად არის), საჭირო გახდა ცვლილება. როგორც ჩანს, ქვემოთ მაინც იყო ერთგვარი დისბალანსი ვარიანტებს შორის – შედარებით რთული ვარიანტი თუ დაწერა აბიტურიენტმა და 20 ქულა მიიღო, სკალირება რომ მომხდარიყო, შეიძლება 21 ქულაც მიეღო და უფრო მეტიც. ეს ყველა საგანს ეხება, მათ შორის უნარებსაც. ამიტომ ეს ძალიან კარგი ცვლილებაა, მაგრამ უნარების შემთხვევაში ამ ცვლილებამ გამოიწვია ის, რომ თუკი გაიგივებული ქულით იქნება განსაზღვრული ბარიერი, ეს ნიშნავს, რომ 21-ქულიანის გარდა, ბარიერი შეიძლება იმ აბიტურიენტმაც გადალახოს, რომელმაც 20 ქულა, შეიძლება 19 ქულაც კი მოიპოვა რომელიმე ტესტურ ვარიანტში (შედარებით რთულ ვარიანტში).

ორივე სიახლე შეფასების სიზუსტის კიდევ მეტი ზრდისკენაა გამიზნული. იგი რთული იქნება და ბარიერს შეუქმნის იმ ახალგაზრდებს, ვინც შემთხვევით ცდილობენ კომპეტენციის ზღვრის გადალახვას – არ კითხულობენ დავალებას, არ მუშაობენ უნარების ტესტზე, შემთხვევითი შემოხაზვით სურთ ფონს გასვლა. იმ აბიტურიენტებს კი, რომლებიც მთელი მონდომებით მუშაობენ ტესტზე, ცხადია, არაფერი ემუქრებათ.

თუკი დღევანდელ მდგომარეობას შევხედავთ, იმის ალბათობა, რომ ადამიანმა შემთხვევით მოიპოვოს 21 ქულა, 30%-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ მესამეს შეუძლია შემთხვევით გადალახოს ბარიერი. როგორც ჩანს, სწორ გაზომვას ქვედა სეგმენტში ვერ ვახდენთ, არ ვიცით მართლა უნარებს ვაფასებთ თუ შემთხვევით გამოცნობილ რაღაც ალბათობას ან იღბალს... მით უმეტეს, თუკი ეს 20 ან 19 ქულა იქნება. ფაქტობრივად, ყოველ მეორე შემთხვევაში ჩვენ არ გვეცოდინება, ეს ქულა აბიტურიენტის უნარების ხარჯზეა მიღებული თუ შემთხვევითია. სწორედ ამიტომ იყო, მეტ-ნაკლებად, გამართლებული უნარებში ერთი და იმავე ნედლი ქულით ბარიერის განსაზღვრა ყველა ვარიანტში.

რადგან ახლა გაიგივების გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რაც ნამდვილად სწორი გადაწყვეტილებაა, უნარების ტესტში ამან მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ზრდის აუცილებლობა გამოიწვია. ეს არის ჩვენი პირველი და მთავარი სიახლე.

ბარიერის ოდნავ – 3 ქულით – აწევით ჩვენ გვინდა შეფასება უფრო ზუსტი გავხადოთ და შემთხვევითობის წილი შევამციროთ. იმის ალბათობა, რომ აბიტურიენტმა შემთხვევით მოაგროვოს 24 ქულა (ან მიახლოებული – 23-22), დაახლოებით 10%-ია. 30-დან 10-ზე ჩამოსვლა უკვე ძალიან დიდი წინგადადგმული ნაბიჯია, სიზუსტის თვალსაზრისით.

მეორე სიახლეც ისევ შეფასების სიზუსტის ზრდას უკავშირდება, ეს არის ზოგიერთი ვერბალური დავალებისთვის მეხუთე სავარაუდო პასუხის დამატება. იცით, რომ ტესტში არჩევითპასუხიანი დავალებები გვაქვს. 2005 წლიდან, მათემატიკურ ნაწილში, ყველა იმ დავალებას, რომლის ფორმატიც ამის შესაძლებლობას იძლევა, ხუთი სავარაუდო პასუხი აქვს. ჩვენი აბიტურიენტებისთვის ეს განსაკუთრებული სიახლე არ იქნება, რადგან მიჩვეულები არიან ხუთ სავარაუდოპასუხიან დავალებებზე მუშაობას. განსხვავება ოთხსა და ხუთპასუხიან დავალებებს შორის მხოლოდ იმ აბიტურიენტებისთვის იქნება, ვინც უბრალოდ იღბალს ცდიან. ცხადია, ოთხი პასუხიდან სწორის ამორჩევის მეტი შანსია, ვიდრე ხუთიდან.

ვერბალურ ნაწილშიც ზოგიერთ დავალებას, კერძოდ ანალოგიისა და ლოგიკის დავალებებს, გვინდა დავამატოთ მეხუთე სავარაუდო პასუხი და ამით კიდევ უფრო ზუსტი გავხადოთ ჩვენი შეფასება და ის 10%, რომელიც 24 ქულის შემთხვევაშია (ვგულისხმობ გაიგივებას), 5-6%-მდე დავიყვანოთ. ამგვარად, კიდევ უფრო ნაკლები იქნება შემთხვევითობა.

ვინაიდან ორივე სიახლე შეფასების სიზუსტის კიდევ მეტი ზრდისკენაა გამიზნული. იგი რთული იქნება და ბარიერს შეუქმნის იმ ახალგაზრდებს, ვინც შემთხვევით ცდილობენ კომპეტენციის ზღვრის გადალახვას – არ კითხულობენ დავალებას, არ მუშაობენ უნარების ტესტზე, შემთხვევითი შემოხაზვით სურთ ფონს გასვლა. იმ აბიტურიენტებს კი, რომლებიც მთელი მონდომებით მუშაობენ ტესტზე, ცხადია, არაფერი ემუქრებათ.

ბევრს საუბრობენ დროის გაზრდაზე, რომ 5 პასუხის წაკითხვას მეტი დრო დასჭირდება. მოგეხსენებათ, ყველა სიახლის დანერგვის წინ საცდელ ტესტირებას ვატარებთ. დეკემბრის თვეში უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარებულმა საცდელმა ტესტირებამ გვიჩვენა, რომ ამ დავალების შესასრულებლად დამატებითი დრო არ სჭირდებათ. ჩვენ საგანგებოდ შევარჩიეთ ისეთი დავალებები, რომელთა პასუხების წაკითხვას და დამუშავებას დიდი დრო არ სჭირდება. ეს არის ანალოგიები, სადაც პასუხები ორ-ორი სიტყვითაა გადმოცემული. ამიტომ ანალოგიების ოთხ პასუხს კიდევ ერთი თუ დაემატება, ეს ვითარებას რადიკალურად არ ცვლის. 5 სავარაუდოპასუხიანი დავალებები დავუმატეთ ასევე ლოგიკის ბლოკს. აქაც ძალიან ლაკონურად და სხარტად ფორმულირებული პასუხებია, ძირითადად, ერთი წინადადებისგან შედგება. სპეციალურად არ ვამატებთ მეხუთე პასუხს წინადადების შევსების დავალებას, რომელშიც თითოეული პასუხი აბიტურიენტმა წინადადებაში გამოტოვებულ ადგილას უნდა ჩასვას. ეს მართლაც დიდ დროს მოითხოვს და, ცხადია, თუ ასეთ სიახლეს დავაპირებთ, აქ დროის დამატების საკითხიც დადგება. წელს, ეს ნამდვილად არ იგეგმება, რადგან არ გვინდა, სამუშაო პროცესი გავურთულოთ აბიტურიენტებს. ასევეა წაკითხულის გააზრების შემთხვევაშიც, პასუხები ორი ან სამი წინადადებისგან შედგება, წაკითხვაც გარკვეულ დროს მოითხოვს, ამიტომ არც აქ დავამატეთ მეხუთე პასუხი. ამგვარად, აბიტურიენტებს ნამდვილად არ გავურთულეთ სამუშაო.

მეხუთე პასუხი ტესტს გაართულებს მხოლოდ მათთვის, ვინც შემთხვევით აპირებს შემოხაზვას. თუ ოთხი პასუხის შემთხვევაში მათ მეტი შანსი ჰქონდათ სწორი პასუხი ამოეცნოთ, ახლა ამის ნაკლები შანსი ექნებათ.

საუბრობენ, აგრეთვე, ტესტის გართულებაზე, რომ მეხუთე პასუხი ტესტს გაართულებს. გაართულებს მხოლოდ მათთვის, ვინც შემთხვევით აპირებს შემოხაზვას. თუ ოთხი პასუხის შემთხვევაში მათ მეტი შანსი ჰქონდათ სწორი პასუხი ამოეცნოთ, ახლა ამის ნაკლები შანსი ექნებათ. რეალურად თითოეულ დავალებას, მიუხედავად იმისა, ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, ხუთი თუ საერთოდ სამი, თავისი სირთულის კოეფიციენტი აქვს და როდესაც ტესტს ვადგენთ, სირთულის თვალსაზრისით, ყველა ტიპის დავალება გვაქვს – ძალიან მარტივი, რომელსაც აბიტურიენტთა 80% სძლევს; ოდნავ უფრო რთული – 70% რომ ართმევს თავს; განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი საშუალო სირთულის დავალებები, რომლებსაც 50% სძლევს და არის რთული დავალებებიც, იმიტომ რომ თავისი უნარებით გამორჩეულმა აბიტურიენტმა უნდა გამოიჩინოს თავი და მაღალი ქულის მქონე აღმოჩნდეს. ტესტის კონსტრუირების ეს პრინციპი, სადაც ყველა ტიპის დავალება იქნება და რომელთა ძირითადი ნაწილი საშუალო სირთულისაა, შენარჩუნდება. ამ თვალსაზრისით არაფერი არ იცვლება, აბიტურიენტებს ისევ საშუალო სირთულის ტესტს შევთავაზებთ.

გვეკითხებიან იმასაც, მეხუთე სავარაუდო პასუხის დამატება ხომ არ შეუშლის ხელს იმ აბიტურიენტებსაც, ვინც მაღალ ქულას იღებს, რადგანაც მათი მუშაობაც შეიცავს ერთგვარი გამოცნობის ელემენტებს. მაგრამ აქ სხვა ვითარებაა – როდესაც აბიტურიენტმა ყველა დავალებაზე იმუშავა და რჩება რამდენიმე, რომლის პასუხიც არ იცის, რა თქმა უნდა, გარკვეული უნარების დახმარებით ირჩევს სავარაუდო სწორ პასუხს. ორი დატოვებული სავარაუდო პასუხიდან სწორის გამოცნობა გამართლებულია და გარკვეულ უნარზე მეტყველებს. ეს სტრატეგია ისევ შენარჩუნებული იქნება და გამართლებულიც. მინდა აბიტურიენტებს ვუთხრა, რომ შემთხვევით შემოხაზვის შემთხვევაში, არასწორი პასუხის არჩევისას, მათ მინუს ქულა არ დაეწერებათ (როგორი პრაქტიკაც არსებობს სტუდენტებთან გრანტის გასაუმჯობესებელი ან სამაგისტრო ტესტის შემთხვევაში, მათ მინუს ქულა ეწერებათ). ეროვნულ გამოცდებზე ასეთი პრაქტიკა არ გვაქვს და არც გვექნება იმიტომ, რომ ეს სწორედ აბიტურიენტებზე მორგებული ტესტია და ამ ასაკისთვის არსებითია, რომ სწრაფად და ეფექტიანად მიიღონ გადაწყვეტილება. ახალგაზრდებმა სხარტად უნდა იმუშაონ და არ ჰქონდეთ იმის შიში, რომ დაშვებული შეცდომისთვის ქულა დააკლდებათ. ერთგვარი სითამამე, ამ თვალსაზრისით, გამართლებულია.

ისევ გავიმეორებ, რომ ამ სიახლით ბარიერი შეიძლება შევუქმნათ მხოლოდ იმ აბიტურიენტებს, რომლებიც ქულების დაგროვებას ბრმად აპირებენ, შემთხვევითი შემოხაზვით. ვწუხვარ, რომ ზოგიერთი მხოლოდ ამ სტრატეგიას ირჩევს. როგორც წესი, ეს ის აბიტურიენტები არიან, რომლებსაც შემოქმედებით უმაღლეს სასწავლებლებში სურთ სწავლის გაგრძელება. მათ რატომღაც აქვთ განცდა, რომ არავითარ შემთხვევაში მათემატიკურ ნაწილზე არ უნდა იმუშაონ. პირიქით, მოვუწოდებ მათ, აუცილებლად გააკეთონ ეს, მათემატიკურ ნაწილში აუცილებლად იპოვნიან ისეთ დავალებებს, რომლებსაც წარმატებით გაართმევენ თავს. უნარების ტესტი მათემატიკის ცოდნას არ ამოწმებს, ეს ელემენტარული ურთიერთობაა რიცხვებთან და თუ ადამიანს, რომელიც, ძალიან უხეში მაგალითი რომ მოვიყვანო, ყიდულობს რაღაც ნივთს მაღაზიაში და შეუძლია სწორად გადაიხადოს თანხა და გამყიდველი რომ ხურდას დაუბრუნებს, მიხვდეს ეს სწორია თუ არა, ასევე ადამიანს, რომელიც არჩევნებში აპირებს მონაწილეობას ან უკვე მონაწილეობს და შეუძლია წაიკითხოს დიაგრამაზე არჩევნების შედეგები, ვინ მეტი ქულა დაგროვა და ვის რამდენი პროცენტი აქვს ხმების, თუ ეს შეუძლია, მისთვის აუცილებელად მოიძებნება მათემატიკურ ნაწილში ისეთი დავალებები, რომლებსაც წარმატებით შეასრულებს. ამიტომ მოვუწოდებ ყველას, რომ პირიქით, რაც უფრო მეტს იმუშავებენ და რაც უფრო მეტად შეეცდებიან შეასრულონ დავალებები, მით უფრო კარგ ქულას მიიღებენ. თუ დრო არ გყოფნის, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, შეიძლება ისევ შემთხვევით შემოხაზო პასუხი. ამისთვის აბიტურიენტები არ ისჯებიან, პირიქით ეს წახალისებულიც არის, რადგან შემთხვევით შეიძლება სწორ პასუხებს მიაგნონ., მთავარი და მნიშვნელოვანია, რომ თავისით იმუშაონ, საკუთარი უნარების ხარჯზე დააგროვონ ქულები იმიტომ, რომ წელს, კიდევ გავიმეორებ, იზრდება შეფასების სიზუსტე. თუკი ალბათობა დიდი იყო, რომ ქვედა სეგმენტზე ყოველ მესამეს გადაელახა შემთხვევით ზღვარი, ამ აბიტურიენტების რიცხვი ახლა რადიკალურად შემცირდება. ამიტომ მოვუწოდებ ყველას, ყურადღებით და მონდომებით იმუშაონ. ყველას წარმატებებს ვუსურვებ.

* * *

2014 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კიდევ რამდენიმე სიახლეა:

❖ წელს პირველად, აბიტურიენტებს საშუალება ექნებათ არჩევით საგნად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ჩააბარონ. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, I-IX კლასებში, ამ საგნის სწავლება სავალდებულოა, დამამთავრებელ კლასებში კი არჩევით საგნად ისწავლება.

❖ უცხოური ენის გამოცდას დაემატა მოსმენის ნაწილი, რომლის მაქსიმალური შეფასება იქნება 8 ქულა.

ამ სიახლეებზე უფრო დეტალურ ინფორმაციას მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ. რუბრიკის სტუმრები იქნებიან უცხოური ენების ჯგუფის ხელმძღვანელი **რუსუდან ტყემალაძე** და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფის ხელმძღვანელი **ნინო ხუნდაძე**.

ლალი თვალაბეიშვილი

რეფორმირებული მანდატურის ინსტიტუტი და მანდატურების პროტესტი

მანდატურის სამსახური არ უქმდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კატეგირიულად უარყოფს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმად, მანდატურის სამსახური უქმდება.

მანდატურის სამსახურის რეფორმა წარმატებით განხორციელდა პილოტური პროექტის ფარგლებში. სამსახურს დაემატა ფსიქოლოგიური ცენტრებისა და კარიერის დაგეგმვის ფუნქციები. შესაბამისად, სამსახური სკოლას კომპლექსურ მომსახურებას გაუწევს. წლის განმავლობაში, რეფორმაზე მუშაობის პროცესში, იმართებოდა დისკუსიები სხვადასხვა ფოკუს ჯგუფებში, ჩატარდა პრეზენტაციები, მოეწყო განხილვები სატელევიზიო ეთერში. რეფორმიდან გამომდინარე მომზადდა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებები, რომელიც მოინონა მთავრობამ და შესაბამისად კანონპროექტი შევიდა პარლამენტში განსახილველად. რაც შეეხება მიმდინარე ცვლილებას, რომლის მიხედვითაც 2014 წლიდან მანდატურს სამსახურში ნიშნავს სკოლა, აღნიშნული ცვლილებები კანონში 2012 წლის 27 დეკემბერს შევიდა. მიმდინარეობს პროცედურული საკითხების დასრულება, რომ აღვასრულოთ საკანონმდებლო მოთხოვნა. ამ ეტაპზე ფუნქციურად არაფერი არ იცვლება.

ასევე, დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ სკოლის მანდატურებს სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე შეტყობინება სოციალური ქსელით (Skype) დაეგზავნათ, რაც ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს. განათლების სამინისტრო კომუნიკაციისათვის იყენებს ოფიციალურ ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემას.

მიუხედავად ამ განმარტებისა, მანდატურებმა პროტესტი გეგმის მიხედვით გააგრძელეს და სამინისტროს წინ შეიკრიბნენ, ისინი მინისტრთან წეხვედრას მედიის თანდასწრებით ითხოვდნენ. *„პირველი პროტესტის გამოცხადება მანდატურის სამსახურიდან იქნება ის, რომ ხვალიდან არ გამოვცხადდებით სკოლაში. შემდეგ შევიკრიბებით სამინისტროში, მოვიწვევთ ჟურნალისტებს და საზოგადოებას გავაცნობთ, თუ რა ხდება რეალურად“* – განაცხადა ერთ-ერთმა მანდატურმა.

აქციის მონაწილეები მინისტრისგან კონკრეტულ განმარტებებს და გუშინ განათლების სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების გამო ბოდიშის მოხდას ითხოვენ.

ერთ-ერთი მანდატური საუბრისას განმარტავს, განცხადება, რომელიც სამინისტრომ გაავრცელა, მათთვის შერაცხმყოფელი იყო.

აქციის მონაწილეები მინისტრმა მანდატურის სამსახურის შენობაში შეხვედრაზე მიიწვია. მანდატურის სამსახურის გაუქმების შესახებ იფნორმაცია განათლებისა და მენციერების მინისტრმა პროვოკაციად აღიქვა და მოლაპარაკების დაწყებამდე განაცხადა: *„მანდატურის სამსახურში რეფორმა მიმდინარეობს და დირექტორები ამ საკითხზე ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ. პირველ რიგში, რასაც გავაკეთებ, აუცილებლად მოვახდენ იდენტიფიცირებას იმ ადამიანებისა, ვინც ამას პროვოცირება გაუკეთა. არც ერთი ინფორმაცია, რომელიც გუშინ გაჟღერდა, სიმართლეს არ შეესაბამება. მანდატურის სამსახურის რეფორმა არაჩვეულებრივად განხორციელდა და მთელი წელია ამაზე ვსაუბრობთ. ტელეეთერები გამოვიყენეთ იმისთვის, რომ გვეჩვენებინა, როგორ გარდაიქმნა სამსახური და რამდენად მოთხოვნადი გახდა. მანდატურის სამსახური ჩვეულებრივ აგრძელებს მუშაობას.“*

შეგახსენებთ, მანდატურის ინსტიტუტი დიმიტრი შაშკინის მინისტრობის პერიოდში, 2009 წელს ამოქმედდა. მანდატურების პროტესტს ყოფილი მინისტრები გამოეხმაურნენ. **დიმიტრი შაშკინმა** განაცხადა, რომ *„მანდატურების მთლიანად სკოლებზე დაქვემდებარება ნიშნავს რეფორმის მთლიანად მოსპობას“*. **ხატია დეკანოიძემ** კი მანდატურის სამსახურის გაუქმებით, სკოლებისთვის კატასტროფული შედეგები იწინასწარმეტყველა: *„თუ ნამდვილად მივიდა განათლების სამინისტრო იმ დასკვნამდე, რომ გააუქმოს მანდატურის სამსახური, ეს იქნება კატასტროფული შედეგის მომტანი სკოლებისთვის, რადგანაც თითოეული ბავშვის უსაფრთხოება დიდი ქალაქების სკოლებში და არა მხოლოდ იქ, უმნიშვნელოვანესია როგორც მშობლებისთვის, ისე მთელი საზოგადოებისთვის“.*

საქართველოს პრეზიდენტმაც, **გიორგი მარგველაშვილმა** ყოფილი მინისტრის პოზიციიდან შეაფასა მანდატურის ინსტიტუტი: *„ჩემი პოზიცია შემიძლია არა როგორც პრეზიდენტმა, არამედ როგორც განათლებისა და მეცნიერების ყოფილმა მინისტრმა დავაფიქსირო (რადგანაც ძალიან ვცდილობ, რომ არ შევიდე აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაში). მინდა გავახსენო საზოგადოებას, რომ მანდატურის სამსახური წარმოადგენდა იმ ძირითად ბერკეტს, რომლითაც წინა ხელისუფლება, ფაქტობრივად, რკინის ხელით მართავდა სკოლებს. ჩვენ ეს პირველივე წელს შევცვალეთ და მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ მანდატურის ინსტიტუტის სულისკვეთება სრულად შევცვალეთ, როდესაც მანდატურის სამსახური სკოლის მართლწესრიგის დამცავ სტრუქტურად ვაქციეთ. რამდენადაც ინფორმირებული ვარ, ახალი მინისტრი კიდევ უფრო სიღრმეებში წავიდა და მანდატურის ინსტიტუტი კიდევ უფრო მოქნილი სტრუქტურა ხდება – მის შემადგენლობაში შევიდა ფსიქოლოგიური სამსახურები, ბავშვისა და მშობლის დახმარების სამსახური, კონსულტაციის სამსახური. აქედან გამომდინარე შემიძლია გითხრათ, რომ მანდატურის ინსტიტუტი სასარგებლოა სასკოლო სისტემისთვის.“*

მინისტრისა და მანდატურების შეხვედრა შეთანხმებით დასრულდა. საპროტესტო აქციის მონაწილე განაწყენებულმა მანდატურებმა მინისტრისაგან ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი მიიღეს.

ნინო ქოჩორაშვილი, აქციის მონაწილე: *„გუშინ ძალიან ამაღელვებელი დღე იყო, არ ვიცოდით, ვრჩებოდით თუ არა სამსახურში და საერთოდ რა ბედი ეწეოდა მანდატურის სამსახურს. მინისტრმა დადებითი პასუხები გაგვცა და გადაწყვეტილებები გვამცნო ყველა ჩვენს შეკითხვასა და მოთხოვნაზე. შესაბამისად, მანდატურის სამსახური ჩვეულად აგრძელებს მუშაობას. მინისტრმა ასევე გვითხრა, რომ დირექტორი იქნება უბრალოდ შუამავალი სამინისტროსა და მანდატურებს შორის და არც ხელფასის მხრივ იქნება პრობლემები“.*

თამარ სანიკიძემ მანდატურებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ შესათანხმებელი არაფერი იყო და შექმნილი პრობლემა ინფორმაციის ნაკლებობამ გამოიწვია: *„ეს იყო ჩვეულებრივი სამუშაო შეხვედრა, რომელიც, სამწუხაროდ, ჩემი მონაწილეობით დიდი ხანია არ შემდგარა. დღეს მოვახერხეთ და შევხვდით. ჩვეულებრივად გრძელდება მუშაობა. ჩვენ ჩვენი საქმით ვართ დაკავებული და მანდატურები ხვალიდან სკოლებში თავის საქმიანობას გააგრძელებენ. ვფიქრობ, რომ შეკითხვა აღარ დარჩა, თუმცა თუ ვინმეს შეკითხვა გაუჩნდება, შეუძლია პასუხი მიიღოს შესაბამისი პირებისაგან“.*

მანდატურების ორდღიანი პროტესტი დასრულდა, მანდატურები ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებენ სკოლებში მუშაობას.

ლალი ჯელაძე

კონკურსი უფროსკლასელთათვის

„ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და გაზეთი „ახალი განათლება“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების მხარდაჭერით აცხადებს ერთობლივ კონკურსს თემაზე „ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“.

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:

პირველი ტური

ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ხელოვნების, შრომის ან სხვა პედაგოგის დახმარებითა და ხელმძღვანელობით სკოლაში მოეწყობა შიდა სასკოლო შერჩევა, რომლის დროსაც მოსწავლეებმა, შემოთავაზებული გეგმის მიხედვით (იხ. **საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა)**, თავად უნდა შეარჩიონ და წარმოადგინონ მათი კუთხისათვის (სოფლისათვის, ქალაქისათვის, ოჯახისათვის, გვარისათვის და ა.შ.) დამახასიათებელი ძირძველი ტრადიცია, რომელიც უკავშირდება ხელსაქმეს ან ხელოსნობას. ასეთი შეიძლება იყოს:

ქსოვა (მათ შორის სამოსის, მისი ატრიბუტების, საყოფაცხოვრებო ნივთების: სუფრა, ხურჯინი, ფარდაგი, ხალიჩა და სხვა) – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

ქარგვა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, ძაფი, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

ნაბდის მოთელვა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, ძაფი, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

თექა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, ძაფი, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

ძაფის დართვა და შეღებვა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ნედლეული, დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

ბუნებრივი საღებავების გამოყენება – მათი მოპოვების და დამუშავების ტექნიკა, მასთან დაკავშირებული რიტუალები;

თოჯინებისა და სათამაშოების დამზადება – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ნედლეული, მნიშვნელობა და გამოყენების წესები;

საკრავების დამზადება – ნედლეული, მისი მოპოვება, მომზადების ტექნოლოგია, მასთან დაკავშირებული რიტუალები, ინსტრუმენტები, ტრადიციები;

ხის სამშენებლო მასალის გამოყენების ტრადიციული ხერხები – ხის შერჩევის, მოჭრის, გამოშრობის, მასალის დამზადების ტრადიციული მეთოდები (ყავარი, აივნის ჭვირული, მუშარაბი, ოდა, ფაცხა, მესერი და სხვა), მასთან დაკავშირებული რიტუალები, ატრიბუტები და ინსტრუმენტები;

ხის ნაკეთობები (ავეჯი, საყოფაცხოვრები ნივთები, სკივრი, გობი და სხვა) – მასალის შერჩევის, დამზადების ტრადიციული მეთოდები, მასთან დაკავშრებული რიტუალები, ატრიბუტები და ინსტრუმენტები;

ხეზე დეკორატიული კვეთა – ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერი, საღებავი, მასთან დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

წნულის ხელობა (საყოფაცხოვრებო ნაგებობები, ღობე, საოჯახო ატრიბუტები, სარიტუალო და სხვა ნაკეთობები) – ნედლეული და მისი მოპოვება, წნულის დამზადების ტექნოლოგია და დიზაინი, მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, ტრადიციები და რიტუალები;

ლითონის დამუშავება (საყოფაცხოვრებო ნივთები, საბრძოლო ინვენტარი, სამკაული და სხვ.) – ნედლეული, ტრადიციული მოპოვებისა და დამუშავების ხერხები, მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები და რიტუალები;

ლითონის დეკორატიული დამუშავება – ნედლეული, ორნამენტი, დამზადების ტექნოლოგია და ინსტრუმენტები, ფერები, ნედლეული, დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

თიხის დამუშავება (სამშენებლო მასალა, საყოფაცხოვრებო ნივთები: ჭურჭელი, ქვევრი, თონე და სხვა) – სხვადასხვა მიზნით თიხის მოპოვების, მომზადების, გამოწვის ტრადიციები, მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები და რიტუალები;

ჭიქური – ინსტრუმენტები, ფერი, საღებავი და სხვა ნედლეული, დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

ქვის სამშენებლო მასალის გამოყენების ტრადიციული ხერხები – კარიერები, მოპოვება, ტრანსპორტირება, ინსტრუმენტები, რიტუალები და ატრიბუტები;

ქვაზე დეკორატიული კვეთა – ინსტრუმენტები, ნედლეული, ორნამენტი, დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

სხვა რამ, რაც უკავშირდება ხელსაქმესა და ხელოსნობას.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად გამოვლენილი საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში, ან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com

ნამუშევრებს, გაზეთის რედაქციასთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები. **გადმოგზავნის ბოლო ვადაა 2014 წლის 28 თებერვალი.**

მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების ხელმძღვანელობით, მათ მიერ შერჩეულ ნიმუშზე შეავსებენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სააღრიცხვო ბარათს. შედგენილი მასალები განიხილება კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტების მიერ, მათი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად წარდგენის მიზნით.

საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორები (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდებიან საგანგებო სიგელითა და წოდებით „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“. საუკეთესო ნამუშევრები აგრეთვე გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება;*
2. იდეის ავტორი – *სახელი, გვარი;*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი;*
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი;*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში მიუთითეთ ყველა სათაური და გაუკეთეთ კომენტარი);
7. ტექნოლოგიის მოკლე აღწერა.

მოკლე აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

❖ რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;*

❖ *ტრადიციული და ამჟამინდელი (თუ განსხვავებულია) სახელწოდება;*

❖ ზოგადი აღწერილობა – *სად, როდის, რისთვის და ვის მიერ მზადდება/გამოიყენება/სრულდება;*

❖ დამზადების/შესრულების ტექნოლოგია – *ნედლეული მასალა, მისი შერჩევა, მოპოვება, დამუშავება, ტრანსპორტირება, ნიმუშის დამზადების ტექნოლოგიის აღწერა, დამზადების ინსტრუმენტები, სხვა საჭირო ატრიბუტები და გარემოებები (წელიწადის დრო, ამინდი, ა.შ);*

❖ *ორნამენტი;*

❖ *შემსრულებლები (მეთუნე, მქარგავი, ხურო და ა.შ), მათი წეს-ჩვეულებები და რიტუალები;*

❖ *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის პრაქტიკირებისათვის;*

❖ რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან სამეურნეო, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. *დაასაბუთეთ თქვენ მიერ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალურობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (ოჯახისთვის, სკოლისთვის, სოფლისთვის...) და საზოგადოებისათვის.*

სასურველია სიტყვების საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს 400- 500 სიტყვას.

სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), დამატებით ასევე შესაძლებელია ჩანახატის, ჩანახაზის, შაბლონის, სქემის, ესკიზის და სხვა თვალსაჩინო მასალის წარმოდგენა.

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში (32)298-39-24, 13 საათიდან 15 საათამდე ან 599 62 34 99 aramaterialuri@yahoo.com
მაკა თაქთაქიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი
საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

ჩემი ვალია პედაგოგებს უკეთესი სამუშაო პირობები შევუქმნა

თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის საქარხნო რაიონს კიდევ ერთი საშუალო სკოლა – 106-ე ქართულ-რუსული სკოლა შეემატა. ძალიან მალე იგი ერთ-ერთი საუკეთესო გახდა ქალაქში – 2000 მოსწავლეზე გათვლილი ოთხსართულიანი შენობა იმდროინდელ საბჭოურ სტანდარტებს მაქსიმალურად აკმაყოფილებდა სპორტული დარბაზით, ეზოთი, ცალკე ფლიგელით, კაბინეტ-ლაბორატორიებით და ყველა სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურით.

ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველი ორი ათწლეულის კვალი ამ სკოლასაც ისევე დაეტყო, როგორც დანარჩენებს. მოსწავლეთა კონტინგენტი 531-მდე შემცირდა. ბოლო წლებში მხოლოდ ის მოხერხდა, რომ შეიცვალა შენობის სახურავი და ფანჯრები, ეზო გაიწმინდა დანგრეული სპორტული დარბაზის ნარჩენებისგან, რომლის ადგილზეც წელს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი უნდა აშენდეს და მთელი კორპუსიც კაპიტალურად შეკეთდეს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებას დიდი ხანია ელოდნენ პედაგოგები და გასაგებია მათი სიხარულიც, მაგრამ ეს სიხარული და გაოცება, ალბათ, ვეღარ გადასწონის სიურპრიზს, რომელიც საშობაო არდადეგების შემდეგ სკოლაში დაბრუნებულებს დახვდათ. ამ სიურპრიზის ავტორი სკოლის ამჟამინდელი დირექტორი, ბატონი **თენგიზ გულორდავა**. იგი აგვისტოში დაინიშნა 106-ე სკოლის დირექტორად, თუმცა 30-წლიანი სასკოლო მოღვაწეობის, მათ შორის დირექტორობის, გამოცდილებაც აქვს და სათანადო განათლებაც, დასახელებული იყო წლის საუკეთესო პედაგოგად (ამ ფაქტს იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს).

ახლა, რაც შეეხება სიურპრიზს. ძირითადი კორპუსისგან ცალკე მდგომ შენობაში დირექტორმა დაწყებითი კლასების განთავსება გადაწყვიტა, რადგან მიაჩნია, რომ სასწავლო პროცესის სრულფასოვნად და უსაფრთხოდ წარმართვისთვის ასეთი გაყოფა (როცა ამის საშუალებაა) აუცილებელია. ჰოდა, სულ რაღაც ერთ თვეში, არდადეგების პერიოდში, სკოლის ბიუჯეტით, მან შეძლო I-IV კლასების საკლასო ოთახების გარემონტება და სათანადო თვალსაჩინოებით თუ ინვენტარით აღჭურვა, იმავე დერეფანში, დაწყებითების პედაგოგებისთვის, სამასწავლებლოს გარემონტება, რომელიც, ალბათ, უკვე ინვენტარითაც უზრუნველყოფილია. კათედრის ხელმძღვანელი, ქალბატონი **ლია გასიტაშვილი** ამბობს, რომ არც ერთი დღე ბატონ თენგიზს ამ არდადეგების პერიოდში არ დაუსვენია, დილიდან გვიან ღამემდე, მუშებთან ერთად, სკოლაში იყო, რათა პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის ასეთი შესანიშნავი საახალწლო საჩუქარი დაეხვედრებინა.

გარემონტებული საკლასო ოთახების დათვალიერების შემდეგ გასაგები ხდება პედაგოგების გულწრფელი სიხარული და დირექტორისადმი კეთილგანწყობის ასე დაუფარავად გამოხატვა. *„ჩვენ ბატონი თენგიზის მოსვლამდეც კარგი დირექტორი გვყავდა, ქალბატონი **ნათია ბასილია**. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ის მაინც შევინარჩუნეთ, რაც იმ წლებს გადაურჩა, სკოლის ეზოც მისი დირექტორობის პერიოდში გაიწმინდა, მაგრამ ახლა სწორედ ასეთი აქტიური ადამიანი იყო საჭირო, რომელიც არც თვითონ დაზოგავს თავს და არც კოლექტივს მისცემს მოდუნების საშუალებას“* – გვეუბნება ქალბატონი **დოდო კალანდაძე**. სხვები, პროფესიონალიზმის გარდა, მის პიროვნულ თვისებებზე საუბრობენ და ამბობენ, რომ კარგი დირექტორი ისაა, ვინც კარგი მენეჯერია, ვისაც კოლექტივის შეკვრა და სიმშვიდის დამყარება შეუძლია, სიახლისკენ ისწრაფვის და დანერგვის უნარიც შესწევს – *„ძალიან შრომისმოყვარეა, ამ სკოლის ცხოვრებით ცხოვრობს, კომუნიკაბელურია, მზრუნველია, მის გვერდით დაცულად გრძნობ თავს“* – ასეთი ეპითეტებით ამკობენ პედაგოგები თავიანთ დირექტორს. დამეთანხმებით, არც ისე ხშირია სკოლაში მსგავსი ხელმძღვანელი. კომუნიკაბელური ნამდვილად არის, ეს გაცნობის პირველი წუთებიდანვე ჩანს, მზრუნველობაც სახეზეა, მაგრამ ამდენი ქალბატონი მის გვერდით დაცულად რომ გრძნობს თავს, ძალზე მნიშვნელოვანი პიროვნული ფაქტორია.

სასკოლო ცხოვრება 106-ე სკოლაში აქტიურია და საინტერესო, მუშაობს სამოქალაქო განათლების კლუბი „სმაილი“, რომელსაც პედაგოგი **ნანა ჭანტურია** ხელმძღვანელობს. გასულ წელს ჩატარებული ღონისძიებებიდან იგი იმ კონკურსში გამარჯვებას გამოარჩევს, რომლითაც მცირე გრანტი, 500 დოლარი, მოიპოვეს და უნარშეზღუდულ ბავშვებს დაეხმარნენ; გარდა ამისა სკოლაში და თემში მაკულატურა შეაგროვეს, გამომცემლობა „პალიტრას“ ჩააბარეს და 50-ზე მეტი წიგნი მიიღეს სანაცვლოდ. ეს პროექტი კვლავაც გრძელდება. გეოგრაფიისა და ისტორიის კლუბს „ქართლი“ (ხელმძღვანელი – **ცირა ბახტაძე**) მჭიდრო ურთიერთობა აქვს გარემოს დაცვის სამინისტროსთან. მართავენ თემატურ კვირეულებს, დასახლებაში ჩატარდა ფლეშმობი დედამიწის დღესთან დაკავშირებით, გაეროს და ნატოს დღეები; ქართული ენისა და ლიტერატურის კლუბი (ხელმძღვანელი – **ლია ზურაბიშვილი**) გამოსცემს ჟურნალს „ბუხარი“. კლუბების ხელმძღვანელები ამბობენ, რომ სკოლაში ძალიან აქტიურია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში **გვანცა ჩაგუნავა** ხელმძღვანელობდა. ახლა იგი აბიტურიენტია და „სმაილის“ ლიდერია, ხოლო თვითმმართველობას **მარიამ ბურჯანაძე** ჩაუდგა სათავეში. 106-ე სკოლა სკოლის მოსწავლეთა გაერთიანების ალიანსის წევრია, რომელიც 42-ე სკოლის ინიციატივით შეიქმა ამ რამდენიმე წლის წინ და რომელმაც თანამედროვე სკოლისთვის საჭირო ბევრი სიახლე შეიტანა და დანერგა საგანმანათლებლო სისტემაში სამოქალაქო განათლების კუთხით.

საუბარში ინგლისურის მასწავლებელი **ნონა ყაჯრიშვილი** ერთვება, რომელიც მოსწავლეების ენის მიმართ დამოკიდებულებაზე საუბრობს და განხორციელებული პროექტებიდან ამერიკული პროექტის, ფულექსის პროგრამით მიღწეულ წარმატებას აღნიშნავს – XII-კლასელმა **სოფიო ბეროშვილმა** შარშან, მსოფლიოს 50 საუკეთესოთა შორის გამარჯვებულმა, ამერიკაში ისწავლა, შემდეგ ეროვნული გამოცდებით, 100%-იანი დაფინანსებით თსუ-ს სტუდენტი გახდა და პარალელურად პროგრამაშიც დაასაქმეს. იანვარში ისევ მიიღო სკოლის 9 მოსწავლემ ამ პროგრამით გამოცხადებულ II ტურში მონაწილეობა. შედეგი, ჯერჯერობით, უცნობია, მაგრამ იმედი აქვთ, გამარჯვებული ახლაც ეყოლებათ; გასულ წლებში სკოლაში 2 ამერიკელი პედაგოგი მუშაობდა, მათ წვლილს სათანადოდ აფასებენ და პროექტის გაგრძელების მომხრე არიან.

რაც შეეხება სკოლის სპორტულ მიღწევებს, დღეისთვის მოკრძალებულია, იმედებს უფრო მომავალზე ამყარებენ, როცა ცალკე სპორტული დარბაზი ექნებათ, არსებული რესურსით სპორტის გაკვეთილები მაგიდის ჩოგბურთსა და ფრენბურთში ტარდება.

თენგიზ გულორდავა: *„ეს სკოლა ერთ-ერთი საუკეთესო იყო ქალაქში. ზოგი პარამეტრით ახლაც ასეა, მაგალითად, პედაგოგიური კოლექტივის მხრივ. ძირითადად, ახალგაზრდა პროფესიონალები მუშაობენ შედარებით გამოცდილების გვერდით, 41 პედაგოგიდან 16 სერტიფიცირებულია, ბევრს თითო საგანი აქვს ჩაბარებული. ისინი აქტიურობით, სიახლეებისადმი გახსნილობით, ერთმანეთისადმი კოლეგიალური დამოკიდებულებით გამოირჩევიან. ჩემი ვალია მათ უკეთესი სამუშაო პირობები შევუქმნა, განათლების სამინისტროს მხარდაჭერა ამ მხრივ გვაქვს. იმედია, მომავალ წელს განახლებულ შენობაში ვისწავლით. გარეგნულ მხარესაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს. გაგიკვიდრებათ, მაგრამ პედაგოგებთან ჩაცმულობის სტილზეც კი შევთანხმდით – კლასიკური სტილი ავირჩიეთ, მოსწავლეებისთვის – უფრო სადა. არავის გაუპროტესტებია, პირიქით, მოეწონათ ჩემი შეთავაზება. ასე რომ, ხუთთვიანი ურთიერთობით კმაყოფილი ვარ, ვიმედოვნებ, მეორე მხარეც ასე ფიქრობს. სწორედ ეს მაძლევს იმედს, რომ ჩვენი სკოლა ღირსებასაც დაიბრუნებს და სხვადასხვა დროს სკოლიდან წასულ მოსწავლეებსაც“.*

ანა ფირცხალაიშვილი

ინფორმაცია

დანერგე წიგნი!

„გახსოვდეთ! თქვენი პირველი მეგობარი უნდა იყოს არა რადიო, ტელევიზორი, ინტერნეტი, არამედ წიგნი. უნდა იკითხოთ, ის მოგცემთ უნარს, რომ გაარჩიოთ, სად არის კეთილი და ბოროტი.“

საქართველოს
კათალიკოს-პატრიარქი
უწმინდესი და უნეტარესი
ილია მეორე

მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩაუტარებიათ თბილისის სამასი არაგველის სახელობის 75-ე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეებს (დირექტორი – **ოლიკო ქიტიაშვილი**). ამჟამად მათ შემეცნებითი ზეიმი – „წიგნმა მითხრა, წიგნით ვიცი“ – მიუძღვნეს პატრიარქის მოწოდებას – „დანერგე წიგნი“.

საგულდაგულოდ მორთულ-მოკაზმულ სკოლის დარბაზში, IV კლასის მოსწავლეების მონაწილეობით, გაიმართა ზეიმი – ერთი საათის განმავლობაში მოსწავლეები არგუმენტირებულად მსჯელობდნენ წიგნის მნიშვნელობაზე, ერთმანეთს ეპაექრებოდნენ ნასწავლი გამონათქვამების შედარება-შეპირისპირებაში. ღონისძიება მიზნად ისახავდა წიგნის მიმართ პატივისცემის გამოხატვას. სულგანაბულ დარბაზს მეოთხეკლასელების ომახიანი ხმები მოეფინა და ერთმანეთს ცოდნის გამომჟღავნებაში ტოლს არ უდებდნენ: **ქრისტინა პერტია, ლუკა კობეშავიძე, მარიამ ბასილაშვილი, გიორგი ჭავჭანიძე, ნიჰათ შირინოვი, ნიკა ბიბილაშვილი, მარინა და იური ასოიანები, ალი დურსუნოვი, ანი ჩაჩიბაია, ნინო ვარდანაშვილი, ოტია ჯანგებაშვილი.**

„იდიდე წიგნო, იდიდე ქართული სულის ლაზათო“ – ამ სტრიქონებს მთელი გრძნობითა და სიყვარულით კითხულობდა **ნინო ცხადიაშვილი**; **მარიამ ლათიბაშვილმა** წიგნს ცოდნის მდინარე უწოდა, რომელიც სიმართლისაკენ მიედინება; **ლუკა მოწონელიძემ** და **ბაქარ ბეროშვილმა** ხოტბა შეასხეს წიგნის ისტორიულ წარსულს; **ელენე დავითაიამ** თანატოლებს მოუწოდა, რომ წიგნი ურთიერთობის, შრომისა და ბრძოლის იარაღად გამოიყენონ; *„წიგნო, სიბრძნის დიდო წყაროვ!“, „ლხინში – სიყვარული, ჭირში – ერის მცველი“* – ამ მოწოდებებით გამოვიდნენ **ანასტასია ჩაფიჩაძე, ნიკოლოზ ბუთხაშვილი** და **ლუკა ოჩიგავა**; *„წიგნი მზეა, გონების მაშუქებელი“* – მიმართა დარბაზს **თათია ქებაძემ**. მეოთხეკლასელებმა წიგნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კომპოზიცია განსაკუთრებული მონდომებითა და ინტერესით მოამზადეს – ბევრი რამ აღმოაჩინეს და შეიტყვეს წიგნის შექმნისა და შემდგომი განვითარების ეტაპების შესახებ. ეს ყველაფერი კი საკუთარი ხელით ილუსტრირებულ წიგნებად აკინძეს და ჟიურის წარუდგინეს.

წიგნის ზეიმი მუსიკალურად სკოლის მუსიკის პედაგოგმა **მადონა ქანთარიამ** გააფორმა.

ღონისძიების დასასრულ, მოსწავლეებმა თანატოლებს მოუწოდეს, მხარი დაუჭირონ პატრიარქის მოწოდებას – *„ჩვენი კავშირი წიგნებთან არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ შაბათი დღით, წიგნი ყოველთვის უნდა იყოს ჩვენი მეგობარი და თანამგზავრი“*.

დარბაზში შეკრებილებს სიტყვით მიმართა თბილისის 21-ე ბიბლიოთეკის გამგემ **ზეინაბ ზაქარიაშვილმა**, რომელმაც მოუწოდა აღსაზრდელებს, შეიყვარონ წიგნის კითხვა, დაიცვან დედაენა, ისაუბრონ ჩვენი დიდი წინაპრების ქართულით. ბიბლიოთეკარმა **მადონა ალანიამ** კი მონაწილე მოსწავლეებს საჩუქრად წიგნები გადასცა.

სკოლის დირექტორმა **ოლიკო ქიტიაშვილმა** და სასწავლო ნაწილის გამგემ, **იზა ზარანდიამ**, მადლობა გადაუხადეს ზეიმის მონაწილეებს, სტუმრებს, მშობლებს წიგნისადმი გამოხატული ინტერესისადმი და ასეთი საინტერესო ღონისძიების მოწყობისათვის, პატარა „წიგნის ქომაგები“ კი ქების სიგელებით დააჯილდოვეს.

მარინა ჯელაძე
IV კლასის დამრიგებელი

სოციალური პარტნიორობის გაძლიერება პროფესიულ სექტორში

საქართველოში სოციალური პარტნიორობის გაუმჯობესების თემაზე ორდღიანი კონფერენცია გაიმართა, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **ქეთევან ნატრიაშვილმა** გახსნა. მომხსენებელთა შორის იყვნენ: საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარე **ირაკლი პეტრიაშვილი**, ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში **ოლივერ რაისნერი** და სხვა ქართველი და უცხოელი ექსპერტები.

სოციალური დიალოგის ფარგლებში, კონფერენციაზე განხილული იყო შემდეგი თემები:

– სოციალური დიალოგის ბარიერებისა და პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრის გზები;

– საქართველოში სოციალური პარტნიორობის გაუმჯობესების გეგმა;

– პროფესიულ განათლებასა და ბიზნეს სექტორს შორის პარტნიორობა რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე;

– სოციალური პარტნიორობის მოდელები და მიდგომები სხვა ქვეყნებში;

– საგანმანათლებლო სექტორსა და ბიზნესს შორის პარტნიორობის მოდელები.

მონაწილეებმა ასევე შეიმუშავეს ეროვნული პროფესიული საბჭოს წესდებისა და გზამკვლევის სამუშაო ვერსია.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოების მიზნით, მნიშვნელოვანია სისტემაში სოციალური პარტნიორების აქტიური ჩართულობა, რაც მიმდინარე პროცესების შესახებ პროფესიული კავშირების, დამსაქმებლების, სხვადასხვა ასოციაციებისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებასა და მათგან რეკომენდაციების მიღებას გულისხმობს.

საქართველოს პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემაში სოციალური პარტნიორობის ჩართულობა ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების სისტემის განვითარებას, რაც განაპირობებს პროფესიული კვალიფიკაციების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოებას. ეს უკანასკნელი კი უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილურობას. სოციალური დიალოგი ის არენაა, სადაც მოწმდება და ანალიზდება დასაქმების პოლიტიკის კონკრეტული მიმართულებები და არსებული რეალობის მიხედვით იცვლება. შესაბამისად, მისი განვითარება დადებითად აისახება ნებისმიერი მოქალაქის დასაქმების შესაძლებლობებზე.

სასერტიფიკაციო გამოცდა

ბიოლოგიის პედაგოგთა დასახმარებლად

ელისო ონაშვილი
ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი

VII–XI კლასები
სისხლი და ლიმფა

სისხლი შედგება პლაზმისაგან და ფორმიანი ელემენტებისაგან. ფორმიან ელემენტებს ეკუთვნის სისხლის უჯრედები – **ერითროციტები, ლეიკოციტები და თრომბოციტები.**

პლაზმა შედგება 90% წყლისაგან, 0,12% შაქრისაგან, 7% ცილებისაგან, 0,8% ცხიმებისაგან და 0,98% მინერალური მარილებისაგან.

ერითროციტები, ანუ სისხლის წითელი სხეულაკები შეიცავს ჰემოგლობინს, რომელიც ცილასთან დაკავშირებული ჰემაა. ჰემა შეიცავს რკინას, რაც ერითროციტებს და მთლიანად სისხლს აძლევს წითელ ფერს. ჰემოგლობინის ფუნქციაა ჟანგბადის გადატანა. ძუძუმწოვრების ერითროციტებს არ გააჩნია ბირთვი. ადამიანის 1სმ^3 სისხლი შეიცავს 4,5-5 მილიონ ერითროციტს. ერითროციტები ცოცხლობს დაახლოებით 125 დღეს, შემდეგ კი იღუპება. ახალი ერითროციტები წარმოიქმნება ძვლის წითელ ტვინში.

ლეიკოციტები, ანუ სისხლის თეთრი უჯრედები რამდენიმე სახისაა – **ლიმფოციტები, მონოციტები, ბაზოფილები, ეოზინიფილები და ნეიტროფილები.** ადამიანის 1სმ^3 სისხლში არის 4,5-9 ათასი ლეიკოციტი.

ლიმფოციტების მეშვეობით ხორციელდება იმუნური რეაქციები. ლეიკოციტების ერთი ჯგუფი **ფაგოციტები** შთანთქავს ორგანიზმში მოხვედრილ უცხო ნაწილაკებს და მიკრობებს, ხოლო მეორე ნაწილი მონაწილეობს ანტისხეულების წარმოქმნაში. დანარჩენი ლეიკოციტებით ხორციელდება ორგანიზმის უნივერსალური თავდაცვითი რეაქცია – ანთება, რომელიც აღმოცენდება ტრამვების, ინფექციების და ა.შ. დროს. ლეიკოციტების სიცოცხლის ხანგრძლივობა სხვადასხვაა, ერთი დღიდან რამდენიმე წლამდე. ლეიკოციტები წარმოიქმნება ძვლის წითელ ტვინში.

თრომბოციტები, ანუ სისხლის ფირფიტები მონაწილეობს სისხლის შედედებაში. ადამიანის 1სმ^3 სისხლი შეიცავს 150-300 ათასამდე თრომბოციტს. თრომბოციტები წარმოიქმნება ძვლის წითელ ტვინში.

სისხლი მოძრაობს ჩაკეტილ სისტემაში – სისხლძარღვებში. იგი ამარაგებს უჯრედებს, ქსოვილებსა და ორგანოებს ჟანგბადით და საკვებით, ხოლო იქიდან გამოაქვს ცხოველქმედების პროდუქტები. სისხლით ხორციელდება იმუნური (თავდაცვითი) რეაქციები და ბოლოს სისხლის მეშვეობით ხდება ჰუმორული რეგულაცია.

ლიმფოიდური ქსოვილი. ეს ქსოვილი პასუხისმგებელია ლიმფოციტების დიფერენცირებაზე. ცნობილია სამი სახის ლიმფოიდური ქსოვილი: **ფაშარი**, რომელშიც რეტიკულარული (ბადისებრი) ქსოვილის მიერ წარმოქმნილი სტრომა ჭარბობს თავისუფალ უჯრედებს; **მკვრივი**, რომელიც შეიცავს უფრო ბევრ თავისუფალ უჯრედებს, ჩაძირულს სტრომაში; **კვანძოვანი,** რომელიც შეიცავს მჭიდროდ თავმოყრილ თავისუფალ უჯრედებს.

თავისუფალი უჯრედები ძირითადად ლიმფოციტებია, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება ზომითა და ფუნქციებით.

კაპილარებში სისხლის გავლისას პლაზმის ცილების მიერ შექმნილი ოსმოსური წნევის შედეგად სითხე გამოდის კაპილარების კედლებიდან. სისხლიდან მუდმივად ბევრი სითხის დაკარგვა დამღუპველია, ამიტომ ამ სითხის მნიშვნელოვანი ნაწილი ბრუნდება სისხლის მიმოქცევის წრეში ლიმფური კაპილარების მეშვეობით დიფუზიის გზით. ლიმფურ კაპილარებში ამ სითხეს **ლიმფა** ეწოდება.

სისხლის მიმოქცევა

ადამიანის ორგანიზმში სისხლი მოძრაობს ჩაკეტილ წრეში – გულსა და სისხლძარღვებში. სისხლისა და ლიმფის მოძრაობა ემსახურება ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლას, კერძოდ, სისხლის მეშვეობით ორგანიზმს მიეწოდება ჟანგბადი და საკვები ნივთიერებები და იქიდან გამოაქვს ცვლის პროდუქტები. სისხლი მონაწილეობს ჰუმორულ რეგულაციაში, იმუნურ რეაქციებსა და თბორეგულაციაში.

სისხლძარღვებია: არტერიები, ვენები და კაპილარები. სისხლძარღვებს, რომლებსაც გამოაქვთ სისხლი გულიდან, არტერია ეწოდება, ხოლო სისხლძარღვებს, რომლებსაც შეაქვთ სისხლი გულში, ვენები. არტერიები იტოტება წვრილ სისხლძარღვებად – კაპილარებად.

არტერიების და ვენების კედელი სამშრიანია: შიგნითა გარსი მოფენილია ენდოთელიუმით, რომელიც თხელი და მოქნილია და ნახევრად გამჭვირვალეა, შუა გარსი გლუვი ირგვლივი კუნთებისა და ელასტიკური ბოჭკოებისაგან შედგება. კუნთოვანი და ელასტიკური ქსოვილი ვენებში უფრო ნაკლებია, ვიდრე არტერიებში. გარეთა გარსი შედგება შემაერთებელი ქსოვილისაგან და მის სისქეში წვრილი და მსხვილი სისხლძარღვებია მოთავსებული. კაპილარები მდებარეობს არტერიებისა და ვენების საზღვარზე, მათი კედელი ერთშრიანი ეპითელისაგან შედგება. არტერიების სანათური ვენის სანათურზე ვიწროა. ვენების კედელში შიგნიდან არის ნამგლისებრი სარქველები, რომელიც აბრკოლებს სისხლის უკან დაბრუნებას. სარქველები უფრო ხშირად გვხვდება კიდურებისა და მენჯის ვენებში, სარქველები არა აქვს ღვიძლის კარის ვენურ სისტემას, ტვინის ვენებს, შიგნითა საუღლე ვენებს.



არტერია (ზემოთ), ვენა (ქვემოთ)



კაპილარი

სისხლის მიმოქცევის მთავარი ორგანოა გული, იგი ასრულებს ტუმბოს როლს, მასში ჩაედინება სისხლი, რომელსაც გული გადაისვრის მთელ ორგანიზმში.

ადამიანის გული ოთხსაკნიანია – შედგება ორი წინაგულის და ორი პარკუჭისაგან. სისხლი წინა გულებში შედის ვენებით, პარკუჭებიდან კი გამოდის არტერიებით. მარჯვენა წინაგულში შედის მთელი სხეულის ვენური სისხლი, მარცხენა წინაგულში კი არტერიული სისხლი ფილტვებიდან. მარცხენა პარკუჭიდან სისხლი მიემართება მთელი სხეულისაკენ, მარჯვენადან კი ფილტვისაკენ. ყოველი წინაგული სათანადო პარკუჭს უკავშირდება ხვრელით, რომელშიც მდებარეობს კარიანი სარქველები. მარჯვენა და მარცხენა პარკუჭებიდან გამოსავალ ხვრელებში, რომლებიდანაც იწყება ფილტვის ღერო და აორტა, არის ჯიბისებრი სარქველები. ამრიგად, ყოველ პარკუჭს აქვს ორი ხვრელი – ერთი შესავალი კარი და ერთი გამოსავალი ჯიბისებრი სარქველი, ამ სარქველების მეშვეობით სისხლი მოძრაობს ერთი მიმართულებით – წინაგულებიდან პარკუჭებისაკენ, ხოლო პარკუჭებიდან არტერიებში.

წინაგულებსაც აქვთ ხვრელები. მარცხენა წინაგულში ოთხი ხვრელია ფილტვის ვენებისა, ხოლო მარჯვენა წინაგულში ორი დიდი ხვრელი ქვემო და ზემო საუღლე ვენებისა და თვით გულის ვენებისა – გულის გვირგვინოვანი არტერიისა, დაბოლოს, უმცირესი ვენების ხვრელები.

გულის კედელი სამგარსიანია: გარეთა სეროზული, შუა კუნთოვანი და შიგნით ამოფენილია ეპითელიუმით. გარეთა გარსი ორფურცლიანია. ერთი შეზრდილია პარკუჭებისა და ნაწილობრივ წინაგულების კუნთთან, მეორე კი ფარავს გულს ყოველ მხრივ. ამ ორ ფურცელს შორის არის **პერიკარდიუმის ღრუ,** რომელიც შეიცავს სეროზულ სითხეს ხახუნის ძალის შესამცირებლად. გულის შუა გარსი – **მიოკარდიუმი** გულის განივზოლიანი კუნთია, წინაგულების კუნთოვანი გარსი თხელია. მარჯვენა წინაგულისა უფრო სქელია, ვიდრე მარცხენასი. პარკუჭების კედელი უფრო სქელია, განსაკუთრებით მარცხენა პარკუჭში. შიგნითა გარსი – **ენდოკარდიუმი** ფარავს გულის ღრუს და ქმნის შემდეგ სარქველებს: მარცხენა წინაგულ-პარკუჭთა სარქველი, მარჯვენა წინაგულ-პარკუჭთა სარქველი, ფილტვის ღეროსა და აორტის სარქველები, გვირგვინოვანი არტერიის სარქველი, ქვემო ღრუს ვენების სარქველი.

გულის შეკუმშვა ხდება ასე: ჯერ იკუმშება წინაგულები, **(წინაგულების სისტოლა)** შემდეგ პარკუჭები **(პარკუჭების სისტოლა).** ორივე წინაგულის შეკუმშვა გრძელდება 0,1 წამი და მთელი სისხლი პარკუჭებში გადადის. შემდეგ წინაგულები მოდუნდება, ორივე პარკუჭი შეიკუმშება და სისხლს აორტასა და ფილტვის არტერიებში გადაისვრის. ეს გრძელდება 0,3 წმ. ამის შემდეგ პარკუჭები მოდუნდება და მომდევნო 0,4 წამის განმავლობაში გულის კუნთი საერთო მოდუნების მდგომარეობაშია. ამ დროს ხდება ატფ-ის აღდგენა. ამგვარად, გულის ციკლი შედგება სამი ფაზისაგან; წინაგულების შეკუმშვა, პარკუჭების შეკუმშვა და საერთო მოდუნება. გულის ციკლის ხანგრძლივობა 0,8 წამია.

აორტა გამოდის მარცხენა პარკუჭიდან და ვრცელდება მთელ სხეულში. ყოფენ ორ ნაწილად: გულმკერდის აორტა და მუცლის აორტა. გულმკერდის აორტაში არჩევენ სამ ნაწილს – ასწვრივ აორტას, აორტის რკალს და დასწვრივ აორტას. გულის კედელი იკვებება გვირგვინოვანი არტერიებით, გულის ვენები ერთვის მარჯვენა წინაგულს.



გული (წინა ხედი)



გული (უკანახედი)



გულის სიგრძივი ჭრილი

სისხლის მიმოქცევის მცირე წრე ეწოდება გზას, რომელსაც გაივლის სისხლი მარჯვენა პარკუჭიდან მარცხენა წინაგულამდე ფილტვის არტერიების, კაპილარებისა და ვენების გავლით. მარჯვენა პარკუჭიდან სისხლი გამოაქვს ფილტვის ღეროს, რომელიც იყოფა მარჯვენა და მარცხენა ფილტვის არტერიებად. ფილტვებში ეს არტერიები იტოტება კაპილარებად, რომელიც ეხვევა ალვეოლებს. აქედან იწყება ფილტვის წვრილი ვენები, რომლებიც თანდათან ერთდება და ფილტვის კართან ქმნის ფილტვის ვენებს. ეს ვენები ოთხია და შედის მარცხენა წინაგულში. ფილტვის კაპილარებში ვენური სისხლი არტერიულ სისხლად გადაიქცევა.

სისხლის მიმოქცევის დიდი წრე ეწოდება გზას, რომელსაც გაივლის სისხლი მარცხენა პარკუჭიდან მარჯვენა წინაგულამდე აორტის, ყველა ორგანოს არტერიის, კაპილარებისა და ვენების გავლით.

დასასრული შემდეგ ნომერში

სასერტიფიკაციო გამოცდა

ქიმიური ექსპერიმენტის დაგეგმვა ვერბალური და არავერბალური მონაცემების გამოყენებით

ლია თევზაძე
ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი

ქიმიის შესწავლის ასაკში, VIII-XI კლასის მოსწავლეები პიაჟეს მიხედვით იმყოფებიან ინტელექტუალური განვითარების მაღალ, ფორმალური ოპერაციების დონეზე. მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არა ემპირიული კვლევა – ცდის ჩატარება და მის გარეგნულ ნიშნებზე დაკვირვება, არამედ თეორიული კვლევა, რაშიც იგულისხმება მიზნის შესაბამისად ექსპერიმენტის დაგეგმვა. საჭირო რესურსების მოძიება, პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე მარტივი გზის შერჩევა. ამიტომ სტანდარტის მისაღწევი შედეგი პირდაპირ მოითხოვს, მოსწავლემ მიზნის შესაბამისად დაგეგმოს, ჩაატაროს და შეაფასოს ცდა. როგორ უნდა დაგეგმოს მასწავლებელმა ცდა ამ შედეგის მისაღწევად?

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი

I მაგალითი

1. მოსწავლეებს კაბინეტში აქვთ კიპის აპარატი (ან სახელმძღვანელოში აქვთ ამ აპარატის სქემა). მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ხელსაწყოს აგებულებას, გამოყენებას (მაგ. წყალბადის მისაღებად), ხელსაწყოს გამოყენების დადებით და უარყოფით მხარეებს და ყურადღებას აპარატის მუშაობის პრინციპზე ამახვილებს: აირი უნდა გამოიყოს მყარ ნივთიერებასთან სითხის შეხებისას, გაცხელების გარეშე.



ლაბორატორიაში წყალბადს თუთიაზე მარილმჟავას მოქმედებით კიპის აპარატში იღებენ.

$$Zn+2HCl \rightarrow ZnCL_2+H_2$$

კიპის აპარატის მუშაობის პრინციპი ასეთია: საჭირო რაოდენობით წყალბადის მიღების შემდეგ გადაკეტავენ ა-ონკანს. წყალბადის დაგროვების გამო აპარატში წნევა გაიზრდება, მჟავა სფეროდან გამოიდევნება, მეტალის ნაჭრებისაგან განცალკევდება და რეაქცია შეწყდება; ა-ონკანის გახსნისას დაგროვილი წყალბადი გამოიდევნება, აპარატში წნევა შემცირდება, მჟავა კვლავ შეეხება მეტალს და მათ შორის ქიმიური რეაქციაც გაგრძელდება. საბოლოოდ, მჟავას გადმოასხამენ ბ-ონკანის მეშვეობით.

აპარატის გამოყენების დადებითი მხარე

კიპის აპარატში მზა სახით ინახება მორეაგირე ნივთიერებები (მჟავა და მეტალი), ამიტომ რეაქციის შეწყვეტა და განახლებანებისმიერ დროს შეიძლება.

უარყოფითი მხარე

დიდი ზომისაა, ძნელია მისი აწყობა-დაშლა, მყარი ნარჩენის გაუვნებლობა.

მინილექციის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მოიძიონ რესურსები კიპის აპარატის ანალოგი თვითნაკეთი მიკრო ხელსაწყოს დასამზადებლად და განახორციელონ პრაქტიკული ოპერაციები.

სავარაუდოდ, თვითნაკეთ ხელსაწყოს ექნება ასეთი სახე:



შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, იმსჯელონ და გადაწყვიტონ გამოდგება თუ არა მათ მიერ დამზადებული ხელსაწყო სხვა აირების, მაგ. ნახშირორჟანგის, აცეტილენის, ჟანგბადის მისაღებად. პასუხის გაცემისას მოსწავლეები გაითვალისწინებენ აპარატის მუშაობის პრინციპს: აირი უნდა გამოიყოს მყარ ნივთიერებაზე სითხის მოქმედებით გაცხელების გარეშე და გამოიტანენ დასკვნას, რომ ნახშირორჟანგისა და აცეტილენის მისაღებად თვითნაკეთი ხელსაწყო გამოდგება, ჟანგბადის მისაღებად კი – არა, რადგან ეს აირი ჟანგბადშემცველი ნაერთების გახურებისას მიიღება.

II მაგალითი

2. წარმოიდგინეთ, რომ სტანდარტი მოითხოვს, მოსწავლემ შეძლოს ბუნებრივი (მოლეკულური) და ახლად გამოყოფილი (ატომური) წყალბადის რეაქციის უნარიანობის, კერძოდ, აღმდგენი უნარის, შედარება.

მიზნის მისაღწევად მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფს რესურსად ეძლევა ორი ხელსაწყოს სქემა ერთი და იმავე ნივთიერებების ფორმულებით. მათ სურათების გამოყენებით უნდა დაგეგმონ და ჩაატარონ ცდები, რომელთა საფუძველზე შეადარებენ მოლეკულური და ატომური წყალბადის აღმდგენ უნარს.

ამ შემთხვევაში სურათი (ხელსაწყოს სქემა) არის არავერბალური წყარო და მის საფუძველზე წარიმართება საჭირო პროცედურები. ბოლოს შეფასდება რამდენად მიზნის ადეკვატურად წარიმართა მუშაობა. სამუშაოს დაგეგმვა და პროცედურების განხორციელება მიზნის მიღწევის ერთი ნაწილია, მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილი სამუშაოს თვითშეფასება ან შეფასებაა.

ობიექტური, გამჭვირვალე, სანდო, ვალიდური (მიზნის ადეკვატური) შეფასებისთვის აუცილებელია წინასწარ ცნობილი (სასურველია მოსწავლეებთან ერთად შედგენილი) შეფასების <u>კრიტერიუმებისა</u> და <u>ინსტრუქციის</u> არსებობა.

<u>კრიტერიუმები</u> ის ძირითადი პრინციპებია, რომელთა საფუძველზე იქმნება შეფასების სქემის რუბრიკები. ინსტრუქცია კი დავალების შემსრულებელს აცნობს, რამდენქულიანია პრაქტიკული სამუშაო და როგორ გადანაწილდება ეს ქულები თითოეულ კრიტერიუმზე. ინსტრუქციის მიხედვით გადაწყდება <u>ანალიტიკური</u> თუ <u>ჰოლისტური</u> სქემით შეფასდება ნამუშევარი.



არავერბალური რესურსი

$$Zn+2HCl \rightarrow ZnCl_2+2H$$
$$CuO+2H \rightarrow Cu+H_2O$$

სავარაუდოდ შესრულებული სამუშაო ასეთ სახეს მიიღებს.

I რესურსის მიხედვით თუთიასა და მარილმჟავას ურთიერთქმედებით გამოყოფილი წყალბადი ვერ შეძლებს სპილენძ(II) ოქსიდიდან სპილენძის აღდგენას – შავი ფხვნილი არ იცვლება სანამ სპილენძის ოქსიდამდე მიაღწევს, წყალბადის ატომები მოლეკულებში ერთიანდება.

II რესურსის მიხედვით წყალბადი გამოყოფის მომენტში, ატომური სახით უფრო აქტიურია, ამიტომ სინჯარაში სპილენძის ოქსიდის შავი ფხვნილი მოწითალო სპილენძის ნაჭრებად გარდაიქმნება.

შეიძლება ამ დავალების შესრულებისას დაისვას დამატებითი კითხვაც – დაგეგმეთ, როგორ უნდა შეიცვალოს I რესურსის მიხედვით ცდის პირობა, რომ გამოყოფილმა წყალბადმა მოხრილ მილშიც შეძლოს სპილენძის მიღება? სავარაუდოდ, მოსწავლეები დაგეგმავენ, რომ სპირტქურის მეშვეობით სპილენძ(II)ოქსიდის გახურებით შედეგს მიიღებენ და ცდით შეამოწმებენ თავიანთ ნააზრევს.

I და II რესურსის მიზნობრივად გამოყენებით გაკეთდება დასკვნა: ატომური წყალბადი (გამოყოფის მომენტში), მოლეკულურთან შედარებით, ძლიერი აღმდგენია.

ქიმიის სწავლისას მნიშვნელოვანია როგორც ცოდნის პრაქტიკული გამოყენება, ისე მისი ტრანსფერი ანუ სხვა, კონკრეტულ სიტუაციაში გადატანა. მაგ. თუ მოსწავლეს მომავალ წელს დასჭირდება ააწყოს ხელსაწყო, რომელშიც, ჩვეულებრივ პირობებში, შესაძლებელი იქნება ნიტრობენზოლის აღდგენით ანილინის მიღება, ის აუცილებლად გაიაზრებს, რომ კიპის აპარატში მიღებული წყალბადი, ნიტრობენზოლთან შეხებამდე, მილში უკვე მოლეკულურ წყალბადად გარდაიქმნება და ნიტრობენზოლს ანილინამდე ვეღარ აღადგენს. ამიტომ ორი მოცემული მოწყობილობიდან (იხ. სასერტიფიკაციო საგამოცდო დავალება 38; 2011 წ.) მეორეა სწორი.



თუ ნიტრობენზოლთან ერთად რკინის, კალას ან ტყვიის გრანულას მოათავსებთ და ამ ნარევს მარილმჟავას დაამატებთ, ახლად გამოყოფილი წყალბადი ნიტრობენზოლს ანილინამდე აღადგენს: ამაში მას ხსნარში წარმოქმნილი აღმდგენი თვისებების მქონე Fe^{2+}, Sn^{2+} და Pb^{2+} იონები „დაეხმარება“ – ისინი ამ დროს Fe^{3+}, Sn^{4+}, Pb^{4+} იონებამდე დაიჟანგება.

განხილული №2 სამუშაოს შეფასების კრიტერიუმები, სავარაუდოდ, შეიძლება იყოს:
1. ორივე ცდის პირობა რესურსის მონაცემების ადეკვატურია;
2. დაგეგმილი და ჩატარებული ექსპერიმენტი მიზნის შესაბამისია;
3. საბაზო ცოდნა წყალბადის აღმდგენ უნარზე გააქტიურებულია;
4. დასკვნა ლოგიკურია;
5. არგუმენტები გასაგები და პრაქტიკულად დასაბუთებულია.

ქვემოთ მოცემულია სავარაუდო ინსტრუქცია:
1. შესრულებული სამუშაო 10-ქულიანია;
2. თითოეული კრიტერიუმის მაქსიმალური შეფასებაა 2 ქულა;
3. კომენტარი გაკეთდება ანალიტიკური შეფასების სქემის მიხედვით.

კონკრეტული სამუშაოს ანალიტიკური შეფასების სქემა ასეთი უნდა იყოს:

რუბრიკები (გამომდინარეობს კრიტერიუმებიდან)	კომენტარი	სრული ქულა
1. ორივე ცდის პირობა რესურსის მონაცემების ადეკვატურია	1. ადეკვატურია	2
2. დაგეგმილი და ჩატარებული ექსპერიმენტი მიზნის შესაბამისია	2. მიზნის შესაბამისია	2
3. საბაზო ცოდნა წყალბადის აღმდგენ უნარზე გააქტიურებულია	3. გააქტიურებულია	2
4. დასკვნა ლოგიკურია;	4. ლოგიკურია	2
5. არგუმენტები გასაგები და პრაქტიკულად დასაბუთებულია.	5. გასაგები და დასაბუთებულია	2

დასასრული შემდეგ ნომერში

მშობელთა კრება

შებოჭილობა ბავშვებში

მშობლებისთვის, რომელთაც აქტიური, თამამი, მოურიდებელი ბავშვები ჰყავთ, ეს პრობლემა ძნელი გასაგებია. მათთვის მორცხვი, მორჩილი, მშვიდი ბავშვი ბავშვი კი არა, ღვთის წყალობაა! მაგრამ მათ არ იციან, როგორ ართულებს ცხოვრებას პათოლოგიური მორიდებულობა და სიმორცხვე. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ გოგონები გაცილებით მორცხვები არიან, ვიდრე ბიჭუნები. მშობლებს ეს იშვიათად აშფოთებთ – ჩვენში ხომ მიღებულია, რომ გოგონა წყნარი და მორიდებული უნდა იყოს. არადა, მომავალში ეს შესაძლოა პრობლემად იქცეს და ბავშვს საკმაოდ გაურთულოს ცხოვრება. შებოჭილ, დაკომპლექსებულ ბავშვებთან საქმე შესაძლოა ენაბლუობამდე და სხვა სახის ნევროზულ აშლილობამდე მივიდეს. ამასთანავე, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ეს მოვლენა მრავალ ფსიქოლოგიურ პრობლემას მალავს, რომლებთანაც უხდება შეჯახება პატარა მშიშარას. რომ დავეხმაროთ, მისი შებოჭილობის მიზეზი უნდა გავიგოთ.

რატომ ვართ ჩუმად?

❖ **ლიდერის არარეალიზებული წანამძღვრები.** ბავშვს შესაძლოა ჰქონდეს მართვის, ხელმძღვანელობის დაუოკებელი წყურვილი, მაგრამ ერთხელ განცდილი მარცხის, წარუმატებლობის შემდეგ გაურბოდეს კონტაქტს, იკეტებოდეს საკუთარ თავში. აქ საჭიროა არა იმდენად სიმორცხვესთან ბრძოლა, რამდენადაც იმის განსაზღვრა, სად შეიძლება გამოავლინოს ბავშვმა საკუთარი თავი დამარცხების საფრთხის გარეშე.

❖ **მეტისმეტი მგრძნობიარობა.** ფაქიზი სულიერი წყობის გამო ბავშვი მტკივნეულად განიცდის მისი მისამართით გაუფრთხილებლად წამოსროლილ სიტყვას. ასეთ ბავშვთან ურთიერთობისას ძალიან დელიკატური უნდა იყოთ.

❖ **შეზღუდული ფანტაზია.** ბავშვმა არ იცის, რა თქვას, როგორ მოიქცეს საზოგადოებაში, ამიტომაც შებოჭილია. გახსნაში რომ დაეხმაროთ, იზრუნეთ მის ინტელექტუალურ განვითარებაზე, შესთავაზეთ განმავითარებელი თამაშები, უბიძგეთ შემოქმედებითი საქმიანობისკენ და წაახალისეთ. მდიდარი ფანტაზიის მქონე ბავშვს გაცილებით უადვილდება გარშემო მყოფებთან კონტაქტი.

მკაცრი შერჩევა

არსებობენ ბავშვები, რომლებიც საგანგებოდ ირჩევენ წრეს. ისინი შესანიშნავად გრძნობენ თავს ზოგიერთი ადამიანის გარემოცვაში, ხოლო ზოგიერთის გვერდით საკუთარ თავში იკეტებიან. შესაძლოა, გამოაცხადონ კიდეც: „არ მინდა ლაპარაკი და არ ვილაპარაკებ!“ ისინი ამგვარად ცდილობენ საკუთარი „მეს“ განმტკიცებას. მშობლებს დიდი ტაქტი მოეთხოვებათ, რათა მისი სიჯიუტე დაძლიონ.

დაეხმარეთ ბავშვს ჩრდილიდან გამოსვლაში!

❖ ნუ გაკიცხავთ და ნუ გაუბრაზდებით ბავშვს ყოველგვარი დანაშაულისთვის. ყოველ სიტუაციაში ეძებეთ ისეთი მხარე, რისთვისაც შესაძლებელი იქნება მისი შექება. ბავშვისთვის ასეთი წახალისება აუცილებელია!

❖ ნუ დაუჭერთ მხარს მის მისწრაფებას, ყოველგვარი წარუმატებლობა საკუთარ თავს დააბრალოს.

❖ ნურასოდეს შეადარებთ სხვა ბავშვებს. ალბათ არსებობს ისეთი სფეროც, რაშიც თქვენი შვილი სჯობნის თანატოლებს. იპოვეთ ის, რითაც ბავშვი საკუთარ თავს წარმოაჩენს და გამორჩეული იქნება.

❖ ნუ მისცემთ დავალებას, რომელსაც ვერ დაძლევს. თავდაპირველად დაავალეთ ყველაზე მარტივი საქმე. როდესაც მას შეასრულებს და საკუთარი თავის რწმენა გაუმყარდება, შემდგომ უფრო რთულ დავალებებსაც გაართმევს თავს.

❖ ნუ გაამახვილებთ ყურადღებას გარეგნობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. წაიყვანეთ სპეციალისტთან, რათა გამოასწოროთ არასწორი მეტყველება ან ენაბორძიკობა.

❖ ნუ შეშფოთდებით ტყუილუბრალოდ, უსაფუძვლოდ. „ვაითუ არ გამოგვივიდეს?!“ – ეს ფრაზა სამუდამოდ ამოიღეთ ლექსიკონიდან! ნურასოდეს შეგეპარებათ ეჭვი, რომ ბავშვი წარმატებას მიაღწევს და მასაც აგრძნობინეთ, რომ მისი გჯერათ.

❖ ნუ გექნებათ იმის შიში, რომ შვილი ზედმეტად შეაქეთ. დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანისთვის ზედმეტი ქება არ არსებობს! ყოველთვის აღნიშნეთ მისი წარმატებები, მიღწევები, ხშირად უთხარით, რომ ის გმირია.

როგორ ამოვიცნოთ ბავშვის პიროვნება

როგორც ნებისმიერ მშობელს, მინდა, რაც შეიძლება მეტი ვიცოდე შვილის შესახებ – რაზე ფიქრობს, რაზე ოცნებობს, რისი ეშინია, როგორ აფასებს საკუთარ თავს, დედას, მამას, ადვილად აგებს თუ არა ურთიერთობას თანატოლებთან... იქნებ არსებობს საბავშვო ტესტები, რომლებიც ამ კითხვებზე პასუხს გამცემს?

ბევრი მშობელი ბავშვის ტესტირებას ისე უყურებს, როგორც გასართობს, თამაშს. დავუშვათ, ბავშვმა დახატა სახლი ან ხე – განა შეიძლება, ამის მიხედვით მის ხასიათზე ვიმსჯელოთ? – ეჭვით კითხულობენ ისინი.

სინამდვილეში კი ამ ნახატიდან მართლაც ბევრი რამის გაგება შეიძლება, არა მხოლოდ იმაზე, სწორად ვითარდება თუ არა ბავშვი, არამედ იმაზეც, საკმარის ყურადღებას უთმობენ თუ არა მას მშობლები. ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ნახატი ყოველთვის გამოხატავს ბავშვის სათქმელს, რომელიც გარკვეულ ხატებად არის დაშიფრული. ამ შეტყობინებათა გაშიფვრა მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, ეს გამოცდილი ფსიქოლოგის დახმარებით უნდა მოხდეს, თუმცა მანამდე შეგიძლიათ ბავშვის ტესტირება თავადაც სცადოთ.

ნათესაური კავშირები

ამ ტესტის შესასრულებლად პატარას დასჭირდება თეთრი ფურცელი და ფერადი ფანქრები. უმჯობესია, თუ ბავშვს დავალებას მისცემს სხვა – თქვენი მეგობარი, მეზობელი, მასწავლებელი. თქვენმა არჩეულმა ადამიანმა უნდა სთხოვოს ბავშვს, დახატოს დედა, მამა, ბებია, ბაბუა ისე, რომ უფროსები რამეს აკეთებდნენ. ტესტი აჩვენებს, როგორ წარმოუდგენია ბავშვს საკუთარი თავი ოჯახის შიდა ურთიერთობებში. გაშიფვრა: სანამ ბავშვი ხატავს, მიაქციეთ ყურადღება მოქმედებათა თანამიმდევრობას. ყველაზე მნიშვნელოვან პიროვნებას ბავშვი პირველად ხატავს. ხდება ხოლმე, რომ ბავშვები პირველად საკუთარ თავს ხატავენ. ეს ნორმალურია. დააკვირდით, ვის დახატავს ამის შემდეგ. თუ ბავშვმა მთელი ოჯახი დახატა, ესე იგი ოჯახში ყველაფერი რიგზეა. თუ ოჯახის ყველა წევრი ხელიხელჩაკიდებული დგას, ეს ორმაგად სასიხარულოა – ეს ნიშნავს, რომ ოჯახი მტკიცეა და იქ სრული ურთიერთგაგება სუფევს. თუ ადამიანები ერთმანეთისგან შორიშორს არიან დახატულნი, იქვე გამოსახულია გაზეთი, გაზქურა, საუთოო მაგიდა, ტელევიზორი და სხვა საოჯახო ნივთები, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ოჯახში საკმარისი ურთიერთგაგება არ არის. სინამდვილეში შესაძლოა ასე არც იყოს, მაგრამ ბავშვის წარმოდგენაში ვითარება სწორედ ასეთია. იმ ადამიანს, ვინც ბავშვის ცხოვრებაში დიდ და მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ბავშვი, როგორც წესი, დიდხანს და გულმოდგინედ ხატავს, ისეთი დეტალებიც კი არ ავიწყდება, როგორიცაა ღილები ტანსაცმელზე ან თმის სამაგრები. „მეორეხარისხოვან“ პიროვნებებს შეიძლება აკლდეთ ხელი ან ფეხი, ცხვირი, ყურები. ასეთი ფიგურები, ჩვეულებრივ, ზერელედ არის გაფერადებული. ყურადღება მიაქციეთ „მხატვრის“ ფიგურას. ის სხვებზე დიდია თუ სხვებთან თანასწორი? გამორიცხული არ არის, ბავშვი მშობლების სიყვარულში ეჯიბრებოდეს დას ან ძმას. თუ ის სხვებთან შედარებით პატარაა, შესაძლოა აკლდეს მზრუნველობა ან ყურადღება. თუ ბავშვმა არ დახატა საკუთარი თავი ან მხოლოდ თავისი თავი დახატა, შესაძლოა თავს მარტოსულად გრძნობდეს. იგივე შეიძლება ვიფიქროთ, თუ ბავშვმა საკუთარი თავი სხვებისგან მოშორებით დახატა. ყურადღებით შეისწავლეთ ნახატის სიმბოლოები. თუ ბავშვმა დახატა ტალახი, ეს შინაგანი შფოთვის მანიშნებელია. წყალი, ყინული, წვიმა, ვარსკვლავები დეპრესიულ განწყობილებას გამოხატავს. საწოლი, გალია (ასოცირდება ტყვეობასთან), თოფი, რევოლვერი, ტყვიები, დანა და სხვა სასროლი ან მჭრელი საგნები აგრესიულობისა და სიფიცხის მანიშნებელია.



ვხატავთ ცხოველებს

ეს ტესტი ბავშვის პიროვნული თვისებების ამოცნობაში დაგეხმარებათ. თქვენ თქვენს პირმშოზე ბევრ რამეს გაიგებთ: განვითარებულია თუ არა მასში შემოქმედებითი საწყისი, აქვს თუ არა აგრესიული დამოკიდებულება გარშემო მყოფების მიმართ, ხომ არ აშფოთებს რამე და ა.შ. ტესტი შეიძლება გამოიყენოთ როგორც პატარებთან, ისე მოზარდებთანაც, თუმცა არსებობს გარკვეული განსხვავება შედეგების ინტერპრეტაციაში (ეს დამოკიდებულია ტესტირებული ბავშვის ასაკზე). განვიხილოთ თვით ტესტირების პროცესი. დაგჭირდებათ თეთრი ფურცელი, უბრალო და ფერადი ფანქრები. დავალება ასეთია: ბავშვმა უნდა დახატოს არარსებული ცხოველი და დაარქვას მას სახელი. გააფრთხილეთ, რომ არ შეიძლება მულტიპლიკაციური ფილმების ან ზღაპრული გმირების დახატვა - ისინი ხომ უკვე სხვის მიერ არიან მოგონილნი. გაშიფვრა: მიაქციეთ ყურადღება, როგორ არის განლაგებული ნახატი. ნორმაა ნახატი ცენტრში. თუ ნახატი ფურცლის ზედა კიდესთან არის მიახლოებული, ეს „მხატვრის“ მაღალ თვითშეფასებაზე მიუთითებს. შესაძლოა იგი აზვიადებს საკუთარ შესაძლებლობებს. ძალიან პატარა გამოსახულება ქვედა კიდესთან საკუთარი თავის რწმენის ნაკლებობაზე მეტყველებს. ასეთი ადამიანი დათრგუნულია და გაუბედავი. თუ ცხოველის თავი ან ფიგურის ცენტრალური ნაწილი მარჯვნივ არის შებრუნებული, ბავშვი ენერგიული და მიზანსწრაფულია. თუ ფიგურა ან თავი მარცხნივ არის მიბრუნებული - პასიური და გაუბედავი. თუ ცხოველის თავი ანფასშია, ბავშვში ეგოიზმი ჭარბობს, დიდი ყურები ცნობისმოყვარეობას ამხელს, ღია პირი ლაპარაკის სიყვარულზე მეტყველებს, მრგვალი პირი შფოთვას, შიშს გამოხატავს. კბილებს ფსიქოლოგები ზედმეტი აგრესიულობის გამომხატველ სიმბოლოდ მიიჩნევენ. იმავეს თქმა შეიძლება რქებზე, ბრჭყალებზე, ეკლებსა და სხვა მჩხვლეტ თუ ბასრ ელემენტებზე.

საიტიდან www.mkurnali.ge

ინფორმაცია

სტუდენტების დასაფინანსებლად რეგისტრაციის ვადა გახანგრძლივდა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა.

კომისიის წევრებმა განიხილეს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები: მემცენარეობის, მესაქონლეობის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის, ბიზნესის ხელშეწყობისა და სხვა სფეროებში.

საუბარი შეეხო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ სტუდენტთა დამატებით დაფინანსებისათვის სპეციალური პროგრამის შემუშავებასაც. დღეის მდგომარეობით, სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით, ბუფერული ზონებიდან სულ 379 განაცხადია დაფიქსირებული, აქედან 236 ბაკალავრია, ხოლო 11 – მაგისტრი, დარჩენილი 132 სტუდენტი სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფინანსდება.

სამთავრობო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ სტუდენტებს კიდევ ეძლევათ შესაძლებლობა, უახლოესი ათი დღის ვადაში, განაცხადით მიმართონ ადგილობრივ ხელისუფლებას და, კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მიიღონ სწავლის დაფინანსება. განაცხადების მიღება 7 თებერვალს დასრულდება.

ასევე, კომისიის წევრებმა მოისმინეს ანგარიში ბუფერულ ზონებში UNHCR-ის მიერ ზამთრის სამზადისისათვის განკუთვნილი დახმარების შესახებ. აღნიშნულმა დონორმა ორგანიზაციამ, ევროკავშირთან ერთად, გასულ წელს, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ 650 ოჯახს უკვე გაუწია ფულადი დახმარება (თითოეულს 500 ლარის ოდენობით), აღნიშნულ დახმარებას კიდევ 550 ოჯახი მიიღებს. კრიტერიუმების მიხედვით, დახმარება გაეწიათ შრომისუუნაროებს, მარტოხელა მოხუცებსა და მრავალშვილიან ოჯახებს.

UNHCR მეორე ტიპის დახმარებასაც ახორციელებს, რომელიც 700 ოჯახისთვის საყოფაცხოვრებო ნივთების გადაცემას მოიცავს.

შეგახსენებთ, რომ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, 2013 წლის ოქტომბერში შეიქმნა და მას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, **დავით ნარმანია** ხელმძღვანელობს.

მსოფლიო ფორუმი 2014

ლონდონში „განათლების მსოფლიო ფორუმი 2014“ გაიმართა. ფორუმს 133 ქვეყნის დელეგაცია, მათ შორის 101 ქვეყნის განათლების მინისტრი დაესწრო. ფორუმზე იმყოფებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** და მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური**. საქართველოს დელეგაციის ვიზიტი ბრიტანეთის საბჭომ უზრუნველყო.

ფორუმის მიზანი თანამედროვე მსოფლიოს საერთო საგანმანათლებლო პოლიტიკის განსაზღვრა იყო და განიხილებოდა საკითხები, რომლებიც საერთო გამოწვევას წარმოადგენს და ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას საჭიროებს. სხვადასხვა ქვეყნებში განათლების საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს.

მთელი მსოფლიოს საგანმანათლებლო საზოგადოება დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ფორუმის მიმდინარეობას. თამარ სანიკიძის განცხადებით, მნიშვნელოვანია საქართველოს დელეგაციის მონაწილეობა მსოფლიო ფორუმში, სადაც განიხილებოდა თემები, რომელზეც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უკვე მუშაობს. განსახილველ თემებს შორის იყო: მასწავლებლის პროფესიული განვითარება; თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში; განათლების ლიდერთა გააქტიურება და განვითარება; სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და სხვ.

ქართული დელეგაციის წარმომადგენლებს ფორუმის ფორმატი საშუალებას აძლევდა, სხვადასხვა ქვეყნის განათლების ექსპერტებთან ინდივიდუალური შეხვედრები გაემართათ, ქართული პროექტები გაეცნოთ, მათი შეფასებები და რჩევები მოესმინათ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დელეგაციამ რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა. თამარ სანიკიძე, ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში, სხვადასხვა ქვეყნის განათლების მინისტრებს, მეცნიერების მენეჯმენტის სფეროს ბრიტანელ ექპერტებსა და პედაგოგიური განათლების მიმართულების პროფესორებს შეხვდა.

მინისტრმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი შეხვედრები გამართა ისრაელის განათლების მინისტრ **შაი პირონსა** და ბრიტანეთის საბჭოს აღმასრულებელ დირექტორ **მარტინ დევიდსონთან**. *„ძალიან სასიამოვნო იყო მინისტრთან შეხვედრა და საუბარი განათლების რეფორმებზე საქართველოში, იმ გზებზე რომლითაც ვიმედოვნებთ, რომ ბრიტანეთი (გაერთიანებული სამეფო) და საქართველო შეძლებენ ერთად იმუშაონ“* – განაცხადა მარტინ დევიდსონმა.

ბრიტანეთის საბჭოს აღმასრულებელ დირექტორთან შეხვედრაზე საუბარი შეეხო ინგლისური ენის უკეთეს და უფრო ეფექტურ სწავლებას და ამ პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების, კომპიუტერების გამოყენებას, მასწავლებლების ტრენინგებს, მასალებისა და სასწავლო გეგმის განვითარებას. საუბრისას ასევე აქტუალური იყო საქართველოსა და ბრიტანეთის უნივერსიტეტებს შორის უფრო მჭიდრო კავშირების დამყარების თემა, საქართველოსთვის, ბრიტანეთის უნივერსიტეტებთან პარტნიორობით, ბრიტანული აკადემიური ხარისხების, ბრიტანული კურსების შეთავაზება. *„ვისურვებდით ამ კუთხით წინსვლას და იმედი მაქვს, მალე მოხერხდება ბრიტანული უნივერსიტეტების მიერ საქართველოში ვიზიტის განხორციელება ამ საკითხის განსახილველად“* – განაცხადა ბრიტანელმა ექსპერტმა.

ფორუმის მონაწილე განათლების ლიდერებს, მათ შორის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დელეგაციას, შესაძლებლობა მიეცათ ექსელის საექსპოზიციო დარბაზში საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისა და ტრენინგების მსოფლიოს წამყვან გამოფენას (BETT) გასცნობოდნენ.

გამოფენა უკვე ოცდამეათე წელია იმართება და მუდამ მსოფლიო საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელთა ყურადღების ცენტრშია. წელს აქ 700- ზე მეტი ექსპოზიცია იყო წარმოდგენილი და მას 150 ქვეყნიდან 35.000-მდე ვიზიტორი სტუმრობდა. თამარ სანიკიძის განცხადებით, ექსპოზიცია ძალზე კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ მოკლე დროში მიიღო საჭირო ინფორმაცია და გაეცნო საგანმანათლებლო სფეროში მსოფლიო მიღწევებს. მინისტრი დადებითად აფასებს საქართველოს დელეგაციის მონაწილეობას განათლების მსოფლიო ფორუმში და იმედს გამოთქვამს, რომ ლონდონში მიღებული ინფორმაცია და წარმოებული მოლაპარაკებების შედეგები აუცილებლად აისახება სამინისტროს მომავალ საქმიანობაში.

სახელმძღვანელოები პროფესიული სასწავლებლების სამკერვალო სექტორისათვის

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის (EPI)“ პროგრამის ფარგლებში, საქართველოს პროფესიული სასწავლებლების სამკერვალო სექტორისათვის სახელმძღვანელოები შეიქმნა. პროფესიულ სასწავლებელ „მერმისში“ სახელმძღვანელოების პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** და აშშ-ს ელჩი საქართველოში **რიჩარდ ნორლანდი** დაესწრნენ.

სახელმძღვანელოები წარმოადგენს დამხმარე მასალას სამი სასწავლო პროგრამისათვის: საკერავი მანქანის ოპერატორი და მექანიკოსი, 100%-ანი ინსპექტირებისა და ხარისხის კონტროლის კურსები. ეს პროგრამები, საქართველოს მასშტაბით, 6 პროფესიულ სასწავლებელშია დანერგილი და იმ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, რომლებიც სამკერვალო სექტორში დამქირავებლების მხრიდან თანამშრომელთა კვალიფიკაციის მიმართ არსებობს. აღნიშნული პროფესიების სწავლება უზრუნველყოფს სამკერვალო სექტორის განვითარებას და პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დასაქმების ზრდას.

EPI-ის ერთ-ერთი მიზანია, გააუმჯობესოს საქართველოს სამკერვალო სექტორის კონკურენტუნარიანობა. ამ თვალსაზრისით, პროექტი ქმედით ნაბიჯებს ახორციელებს:

– ადგილობრივი სამკერვალო სექტორის წარმომადგენლები გლობალურ ბაზრებთან დაუკავშირა;

– ხელი შეუწყო საქართველოს ტექსტილისა და ფეხსაცმლის მწარმოებელთა ასოციაციის შექმნასა და გაძლიერებას;

– დაეხმარა ადგილობრივ მწარმოებლებს საერთაშორისო სერტიფიცირების მოპოვებაში, რაც ევროპულ ბაზარზე გასვლის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს;

– ხელი შეუწყო ადგილობრივი დიზაინერებისა და დსთ-ს ბაზარზე არსებული მყიდველების ურთიერთობების გაღრმავებას.

სამი მედალი ბაქოდან

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქართველმა ჭაბუკებმა წლევანდელი სეზონიც, ტრადიციულად, ბაქოში დაიწყეს მუშვიგ ისაევის ხსოვნის XVII მემორიალში. ესაა ყარაბაღის ომში დაღუპული აზერბაიჯანის ეროვნული გმირი, რომლის მემორიალშიც ჩვენი მოზარდები ყოველწლიურად მონაწილეობენ და მუდამ წარმატებით. გამონაკლისი არც წლევანდელი შეჯიბრება გამოდგა, თუმცა ამჯერად მონაგარი შედარებით მოკრძალებულია – 1 ოქრო და 2 ბრინჯაო. ჩემპიონი მძიმეწონოსანი **გივი მაჭარაშვილი** (100) გახდა, მესამე საპრიზო ადგილზე კი ამავე წონაში **ჯონი პეტრიაშვილი** და **ზაურ ბერაძე** (85) გავიდნენ.



სამწუხაროდ, ამჯერად უმედლოდ დარჩნენ ჩვენი გუნდის სხვა ლიდერები, თანატოლებში ევროპის შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორები **ალექსანდრე კილაძე** (50) და **შმაგი თოდუა** (58), რომლებმაც ამჯერად ორ-ორი წონით ზევით აინაცვლეს. წლევანდელი სეზონი მათთვის სწორედ ამ კატეგორიებში დამკვიდრების ეტაპი იქნება, თუმცა ვიმედოვნებთ, ადაპტაცია დიდხანს არ გაუგრძელდებათ.

მაჭარაშვილი შარშანაც გახდა ამ შეჯიბრების გამარჯვებული, ხოლო ჩვენს ნაკრებში ამ წონის გამოკვეთილი ლიდერია. გაცილებით რთულადაა კონკურენცია 85 კილოგრამში, სადაც ბერაძეს თანაბარძალოვან კონკურენციას **მოგელი მეზვრიშვილი** უწევს. ამჯერად ბერაძემ კი იმარჯვა, თუმცა დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას... მით უფრო, წინ საქართველოს ჩემპიონატია – თებერვლის ბოლოს ტარდება, რომელიც ევროპის პირველობისთვის მთავარი შესარჩევი შეჯიბრებაა.

უფროსებში გარეული პატარები

ახალ სპორტულ სეზონს მოჭიდავეთა ასაკობრივი ნაკრებებიც ახალი გეგმებით ხვდებიან. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ამ უქმეებზე სპორტკომპლექს „არენაში“ საქართველოს ჩემპიონატიც ჩაატარეს 20-წლამდელთა შორის, თუმცა მასში რამდენიმე წონაში ჭაბუკთა ნაკრებიდან ახალგადმოსულებმა ან ჯერაც იქაურმა ფალავნებმა გაიმარჯვეს, ანუ ისეთებმა, ჯერ კიდევ საჯარო სკოლის მოსწავლეები რომ არიან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 50 კილოგრამში ბათუმელი **ლერი აბულაძის** გამარჯვება – ის მხოლოდ 15 წლისაა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია რამდენიმე წლით უფროსებთან წარმატებით პაექრობაში. სენაკელი **ბაკურ გოგოლი** (66) და ქუთაისელი **ზვიად პატარიძე** (120) ჯერ კიდევ შარშან ჭაბუკთა ნაკრებში გამოდიოდნენ და პატარიძე მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა. მას გამარჯვება არც ახლა გასჭირვებია, გოგოლმა კი ნამდვილად გაგვაოცა, ისეთ ძლიერ ფალავნებს მოუგო – წინასწარ შეხვედრებში სხვებთან ერთად წონის ფავორიტი, ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **შმაგი ბოლქვაძეც** კი დაამარცხა, ფინალში კი **ედნარ შავაძეს** სძლია. არადა, შავაძემ შარშან უფროსებში მოიგო საქართველოს ჩემპიონატი. ტურნირის დასრულების შემდეგ ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზაზა სილაგაძემ** ხაზი გაუსვა მათ კარგ ჭიდაობას და გამოთქვა იმედი, რომ საერთაშორისო ტურნირებშიც ასევე წარმატებით იასპარეზებენ.

მასობრივი ჩოგბურთი

სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია აგრძელებს მასობრივ შეჯიბრებებს საჯარო თუ კერძო სკოლებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში. უკვე მიმდინარეობს სასკოლო ლიგები, რომელშიც დედაქალაქელებთან ერთად რეგიონების წარმომადგენლებიც მონაწილეობენ, თებერვალი კი ფრიად დატვირთული იქნება. სწორედ მაშინ იგეგმება ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნის ტურნირის ჩატარება, რომელიც უფრო მასობრივი ღონისძიებებით დასრულდება და გასცილდება სპორტის ფარგლებს. მაგალითად, იგეგმება მემორიალური დაფის გახსნა და ხეების დარგვის მეტად კეთილშობილური აქცია.

29 იანვარს, თბილისის 84-ე საჯარო სკოლაში, მორიგი ტურნირი იწყება. ამჯერად – მაგიდის ჩოგბურთში, რომელიც ფრიად წარმომადგენლობითი იქნება და მასში 46 (!) სკოლის გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ეს იქნება გუნდური შეჯიბრება, რომელშიც, მოსწავლეებთან ერთად, უფროსებიც მიიღებენ მონაწილეობას. ფედერაციის მესვეურთა სურვილია, მსგავსი სპორტული აქტივობები მხოლოდ ბავშვებით არ შემოიფარგლოს და მასში მშობლები და მასწავლებლებიც ჩაებნენ. ეს ხელს შეუწყობს „მოსწავლე-მასწავლებელი-მშობელის“ სამკუთხედის შეკვრას, რამაც მშობელი უფრო უნდა დააკავშიროს სკოლას და გააძლიეროს კოორდინაცია მათ შორის. ამ იდეის მესვეურთ მსგავსი ფორმატით შეჯიბრებები ადრეც ჩაუტარებიათ, როცა ეს ფედერაცია ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, ამავე პრინციპით დაკომპლექტდება მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდებიც. თითოეულ მათგანში 6 მონაწილე იქნება – 2-2 გოგო და ბიჭი, 1 მასწავლებელი და 1 მშობელი. შეჯიბრება ორშაბათს დასრულდება და დაჯილდოების ცერემონიალიც მაშინ გაიმართება.

ჭაბუკთა ახალი თაობა

ამ დღეებში საგარეჯომ ჭაბუკ ძიუდოისტთა მორიგ სარეიტინგო შეჯიბრებას უმასპინძლა 1997-98 წლებში დაბადებულთა შორის. ესაა ეგრეთ წოდებული საფესტივალო ასაკი, ანუ ის მოზარდები, რომლებსაც გაისად თბილისში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე შეიძლება, მოუწიოთ გამოსვლა.

ცხადია, დროთა განმავლობაში ამ სპორტსმენთა შემადგენლობა იცვლება – ზოგი ზედა ასაკში გადადის, სანაცვლოდ კი უმცროსებიდან შემოდიან ახლები. ამჯერადაც ასე იყო, თუმცა ნაკრებში კვლავაც რჩება რამდენიმე ლიდერი, რომლებიც სრულად ამართლებენ ფავორიტის იმიჯს. ასეთთა შორის, უპირველესად, გორელი **რობიზონ ბეგლარიშვილი** (55) უნდა დავასახელოთ, რომელზეც მწვრთნელები აქედანვე დიდ იმედებს ამყარებენ – არა მხოლოდ ზემოაღნიშნულ ფესტივალზე, არამედ შორეულ პერსპექტივაშიც, ეროვნულ ნაკრებთან დაკავშირებით. მან ამჯერადაც უპრობლემოდ გაიმარჯვა.

სხვა წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: **თეიმურაზ ნოზაძე** (50), **გიორგი ლიპარტელიანი** (60), **ბექა უდესიანი** (66), **გიგა გიგაური** (73), **გიორგი გოგოლიძე** (81), **გიორგი გველესიანი** (90) და **დავით რაზმაძე** (+90).

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბალერინები - ედგარ დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - დიეგო ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
9. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - ოგიუსტ რენუარი

ერთი ცალის ფასი – 6.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. მსოფლიოს რელიგიები
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. ქართული ხალხური საკრავები
4. ქვეწარმავლები საქართველოში
5. საქართველოს მცენარეები
6. ადამიანის კუნთოვანი სისტემა
7. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
8. ძველი რომი
9. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
10. სამყაროს წარმოქმნა
11. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი – 3 ლარი

ქართველი მწერლები

❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-V ტომი, – 11 ლარი
❖ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) I-VII ტომი – 11 ლარი
❖ ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, III, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I-VI ტომი – 12 ლარი
❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი – 12 ლარი
❖ ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I-V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაქრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. რუსთაველი
20. თეიმურაზ I
21. ვახტანგ VI
22. გიორგი მერჩულე
23. გრიგოლ ორბელიანი
24. დავით ალმაშენებელი
25. გრიგოლ რობაქიძე

ერთი ცალის ფასი – 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

წიგნის თარო **მიმდინარეობს**

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები"

- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი** ახალი
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა** ახალი
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები** ახალი
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**



თითო ტომის ფასი – 12 ლარი

რა არის რა

- ❖ მსოფლიოს 7 საოცრება
- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაძირული ქალაქები
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



თითო ტომის ფასი – 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება",
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს„ლიბერთი ბანკი", ბ/კ LBRTGE22

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან
ინტელექტი სკოლას

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი



თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 9 ლარი

ქიმია

საატესტატო-საგამოცდო საკითხები და ტესტები
ლ. თევზაძე
ფასი – 5 ლარი

ქიმია

საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

ქიმია

დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის
ჟ. პეტრიაშვილი,
ნ. მაისურაძე
ფასი – 7.50 ლარი

ბიოლოგია

საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მაღრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

ფიზიკა

საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

გეოგრაფია

საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

ისტორია

საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

ისტორია

ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

მათემატიკა

ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

გამომცემლობა „დიოგენე"

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება" ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >